პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 43-ე წელი | № 55 (12567) | ოთხშაბათი, 6 მარტი, 1963 წ. | ფასი 2 კაპ.



საბჭოების არჩევნების უმნიშვნელოვანესი ეტაპი

ნინასაარჩევნო კამპანია შევიდა უმნიშვნელოვანეს ფაზაში. უკვე დამთავრდა დეპუტატობის კანდიდატთა რეგისტრაცია და დიდი პოლიტიკური აქტივობის ვითარებაში დაიწყო ამომრჩეველების შეხვედრა დეპუტატობის კანდიდატებთან. ეწყობა საუბრები ჩვენი დიდი სამშობლოს მიღწევებზე, ჩვენს გეგმებსა და შრომაზე.

ყველგან გაჩაღდა აგიტაცია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ ადგილობრივი საბჭოების დეპუტატობის კანდიდატების სასარგებლოდ. პროპაგანდისტები, აგიტატორები, ნდობით აღჭურვილი პირები ფართოდ აცნობენ ყველა ამომრჩეველს დეპუტატობის კანდიდატთა ბიოგრაფიებს, მათს საწარმოო და ხაზოგადოებრივ საქმიანობას.

უკანასკნელ წლებში ჩვენი დიადი ქვეყნის ცხოვრება აღსავსეა მდიდარი ისტორიული მოვლენებით. სკკპ XXII ყრილობამ მიიღო პარტიის ახალი პროგრამა, რომელსაც ახლა თავიანთი გმირული შრომით ხორცს ასხამენ საბჭოთა ადამიანები. 1962 წლის ნოემბერში შედგა ლენინური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი, რომელმაც დასახა დიადი ღონისძიებები. მრეწველობის, მშენებლობისა და სოფლის მეურნეობის ხელმძღვანელობის შემდგომი გაუჯობესებისათვის.

უკვე იგრძნობა ამ ახალ ღონისძიებათა პირველი მძლავრი შედეგები. კონკრეტული, მიზანსწრაფული გახდა სახალხო მეურნეობისადმი პარტიული ხელმძღვანელობა. საბჭოები უფრო ღრმად ჩახწვდნენ მშრომელთა საყოფაცხოვრებო საქმეებში.

დადგა შვიდწლედის მეხუთე წლის გაზაფხული. ახლა ყოველდღე მოდის ხასიხარულო ცნობები იმის შესახებ, თუ როგორ თავდადებით შრომობენ ადამიანები საწარმოებში, მშენებლობებზე, კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებსა და დაწესებულებებში.

გასაგებია, რომ ასეთ ვითარებაში ყველა იმ ამოცანის განხილვა, რომელიც ამჟამად დგას ჩვენი ხალხის წინაშე, წარმოადგენს დეპუტატობის კანდიდატთან ამომრჩეველების შეხვედრის დღიურს. ათასობით მშრომელი აქტიურად მონაწილეობს ასეთ შეხვედრებსა და საუბრებში, მშრომელები ყველგან დიდი აქტივობით განიხილავენ მშობლიური სოფლების, ქალაქებისა და რაიონების საჭიროროტა საკითხებს როგორც თავიანთ სისხლხორცეულ საქმეს.

ამომრჩეველები დეპუტატობის კანდიდატებთან შეხვედრის დროს საუბრობენ არა მარტო წარმატებებზე, საერთო მიღწევებზე, არამედ პრინციპულად, ობიექტურად აკრიტიკებენ ნაკლოვანებებს, საუბრობენ ჯერ კიდევ გადაუწყვეტელ პრობლემებზე, გამოუყენებელ რეზერვებზე. ეს გულახდილი საუბრები არის სოციალისტური დემოკრატიის, ნამდვილი სახალხო დემოკრატიის ნათელი დემონსტრაცია.

მოსახლეობაში საგაგიტაციო-პროპაგანდისტული მუშაობის ცენტრს წარმოადგენენ საარჩევნო უბნები და მათი აგიტპუნქტები. პარტიული ორგანიზაციები, რომლებიც აჩაღებენ აგიტაციას დეპუტატობის კანდიდატთა სასარგებლოდ, მოწოდებული არიან ფართოდ გამოიყენონ მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის ისეთი ფორმები, როგორიც არის მშრომელთა კრებები, ლექციები, მოხსენებები, საუბრები, გაზეთებისა და ჟურნალების კითხვა, კონსულტაციები, ახალგაზრდა ამომრჩეველთა კითხვა-პასუხის საღამოები, შეხვედრები მოწინავე ადამიანებთან, კედლის გაზეთები, კინოფილმები და სხვ.

თბილისის, ქუთაისის, სოხუმის, ბათუმის, ცხინვალის, ჭიათურის, რუსთავისა და სხვა ქალაქების; თელავის, ზუგდიდის, მახარაძის გურჯაანისა და სხვა რაიონებიც, მოელმა რიგმა პრველადმა პარტიულმა ორგანიზაციებმა პროპაგანდისტულ საქმიანობაში ჩაბეს აქტივის უზარმაზარი არმია. — ამ საქმეს ემსახურებიან ამჟამად ლექტორთა ჯგუფები, კულტურის სახლები, ბიბლიოთეკები სამეცნიერო-ტექნიკური და სხვა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებები. ამის შედეგად მოსახლეობაში პოლიტიკური გაჯანსაღების სფერო გაფართოვდა არა მარტო აგიტპუნქტებში, არამედ აგრეთვე საერთო საცხოვრებლებში, ამომრჩეველთა ბინებში.

ჩვენი დეპუტატობის კანდიდატებს შორის არიან წარმოების ნოვატორები, უხვი მოსავლის ოსტატები, სახელგანთქმული მეცხოველეები, სახალხო ინტელიგენციის, მთელი ჩვენი საზოგადოების საუკეთესო წარმომადგენლები.

ამიტომ არის, რომ მშრომელთა კრებები, რომლებზეც დეპუტატობის კანდიდატებს ხვდებიან ამომრჩეველები, ეწყობა მაღალ პოლიტიკურ დონეზე და წარმოადგენს საბჭოთა ხალხის იდეური ერთიანობის ნათელ დემონსტრაციას. ეს შეხვედრები ნათელყოფენ ხალხის დარაზმვას კომუნისტური პარტიისა და მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტის გარშემო.

შეხვედრებზე ამომრჩეველთა წინაშე გამოდიან დეპუტატობის კანდიდატები— პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო მუშაკები, მუშები, კოლმეურნეები, ნოვატორები, კულტურის, მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეები. მთავარია ამ შეხვედრების დროს გულმოდგინედ დავუგდოთ უური მშრომელთა კრიტიკულ შენიშვნებს, მათს სურვილებს.

კიდევ თერთმეტი დღე, და ჩვენს რესპუბლიკაში ჩატარდება საბჭოების არჩევნები, არჩევნების დღე — 17 მარტი დიდი სახალხო დღესასწაულია. დეპუტატობის კანდიდატებისათვის ხმის მიცემით ჩვენ ხმას მივცემთ საბჭოთა ხალხების მტკიცე მეგობრობასა და თავისუფალ შრომას, სამშობლოს სიდიადესა და საყოველთაო მშვიდობას!

ჩვენი ქვეყნის მშრომელები, როგორც ყოველთვის, ახლაც მზად არიან პატრიოტულად მოიხადონ თავიანთი მოქალაქეობრივი მოვალეობა — 17 მარტს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ ადგილობრივი საბჭოების არჩევნებში ხმა მისცენ კომუნისტებისა და უპარტიოების ბლოკის კანდიდატებს—ხალხის ყველაზე რჩეულ ადამიანებს, რომელთა ცხოვრებასა და შრომაში არ არსებობს სხვა უფრო დიადი მიზანი, ვიდრე იყოს ხალხის ნამდვილი მსახური.

გაგაფხულს შრომა ალამაგებს

ტემპი, მხვნელ-მთესველებო!

ჩვენი მიმოხილვა

გაზაფხულია. ჩვენი რესპუბლიკის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში საგაზაფხულო კულტურები ითესება. გაზაფხულის პირველი დღისათვის გორის საწარმოო სამმართველოს მხვნელ-მთესველებმა საგაზაფხულო კულტურები უკვე დათესეს 3.057 ჰექტარი, გარდაბნისამ — 2.400, სიღნაღისა — 1.491 ჰექტარი, ხოლო სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში — 1.603 ჰექტარი.

საერთოდ რესპუბლიკაში თესვის ტემპი არასაკმაოა. 1 მარტისათვის საქართველოში საგაზაფხულო კულტურები დათესილი იყო 11.673 ჰექტარი. ეს შარშან ამავე დროისათვის დათესილთან შედარებით 4.052 ჰექტარით ნაკლებია.

საინტერესოა, რას ფიქრობენ თელავის საწარმოო სამმართველოში შემავალი კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები, როცა წელს ასეთ ხელსაყრელ ამინდში საგაზაფხულო კულტურები დათესილი აქვთ მხოლოდ 389 ჰექტარზე. გურჯაანის საწარმოო სამმართველოს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს მხვნელ-მთესველებს ყველა პირობა აქვთ ამისათვის, რომ საგაზაფხულო კულტურების თესვის საქმეში რესპუბლიკაში ერთ-ერთი მოწინავე იყონ. მაგრამ როგორ იყენებენ ამ შესაძლებლობებს? ცუდად. მთელ რაიონში მხოლოდ 418 ჰექტარი დათესა.

საყვედურის ღირსი არიან ხაშურელი მშრომელები. აქ საგაზაფხულო კულტურები ძლივს დათესეს 293 ჰექტარზე, ეს სირცხვილია, ხაშურელებო. ასეთი ტემპით პირობას ვერ შეასრულებთ.

ბევრგან რაიონებში ბარდის თესვა დასასრულს უახლოვდება. ამ მხრივ ქების ღირსია ბოლნისის, გარდაბნისა და სხვა რაიონები. მაგრამ ასე ვერ ვიტყვით გურჯაანის რაიონის შესახებ. აქ ბარდა დათესეს 147 ჰექტარი, ხოლო ხაშურის რაიონში — 40 ჰექტარი. თესვის ტემპი დაბალია აგრეთვე დუშეთის, თელავის და სხვა რაიონებში. სულ რესპუბლიკაში გაზაფხულის პირველი დღისათვის ბარდა დათესილი იყო 4.031 ჰექტარი, შარშან ამავე დროისათვის კი — 8.223 ჰექტარი.

რესპუბლიკაში არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს მზესუმზირას თესვა. ეს სამუშაო დაიწყეს მხოლოდ სიღნაღის, თელავისა და ყვარლის რაიონებში. საინტერესოა, რას ფიქრობენ ბოლნისის, დუშეთის, ხაშურის და სხვა რაიონების ხელმძღვანელი ამხანაგები, როცა მზესუმზირას თესვას 1 მარტისათვის არ შესდგომიან. რესპუბლიკაში რომ შარშანდელთან შედარებით 660 ჰექტარით ნაკლები მზესუმზირა დათესა, განა ეს ნორმალურია? მით უმეტეს, რომ წელს უფრო ხელსაყრელი ამინდებია.

ბოსტნეული კულტურების თესვაში ჩამორჩენიან თელავის, გურჯაანის, დუშეთის, ხაშურის და სხვა რაიონები, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი. სულ რესპუბლიკაში ბოსტნეული კულტურები დათესილია მხოლოდ 937 ჰექტარი. შარშან ამავე დროისათვის იყო 1.924 ჰექტარი. ასევე ითქმის კარტოფილის თესვის სამუშაოების შესახებ.

როგორც საქართველოს სსრ სტატისტიკური სამმართველოს 1 მარტის ცნობებიდან ჩანს, საგაზაფხულო კულტურების თესვის ტემპი არადამაკმაყოფილებელია. დრო არ ითმენს. ტემპი, უნდა გავაცხოველოთ, მხვნელ-მთესველებო!

დიადი შვიდწლედის მეხუთე წლის გაზაფხული მოვიდა. მიწას ზედაპირი აუშრა, ზამთრის ნალექებიდან მიღებულ სინესტეს კი გულში ინახავს, რათა სიკეთის თესლს ხული ჩაუდგას, დააპუროს, ზარდოს და ერთიანად აქციოს. მხვნელ-მთესველები მინდვრად გავიდნენ და აქედანვე უურიან საფუძველს წელს უხვი მოსავლის მიღებას. აგუგუნდნენ ტრაქტორები, გადაშავებულ მიწას ოხშივარი ასდის. კიდევ რამდენიმე დღე, და დაითესება საგაზაფხულო კულტურების პირველი ჰექტარები. მალე აბიბინდება „მინდვრის დედოფალი“ საკოლმეურნეო მინდვრებზე. სურათზე, მარცხნივ რომ ხედავთ, ჩაქვის რაიონის სოფელ ხელვაჩაურის კოლმეურნეობის სათესი მინდვრებია, ტრაქტორის საჭეს რომ მართავს, ის კი კოლმეურნე მექანიზატორი მ. თურმანიძეა. აქაურმა კოლმეურნეებმა იკოსრეს წელს შვიდი ათასი ცენტნერი სასილოსე მასა მიიღონ, 15 ჰექტარის ყოველ ჰექტარზე კი — 65 ცენტნერი სიმინდის მარცვალი. ისინი ამ პირობას შეასრულებენ.

ქართული ფოლადის სამშობლო — რუსთავი მალე გახდება ჭართული კაპროლაქტამის სამშობლოც. ახლა აქ მშენებელ-მემონტაჟეები ბეშმარიტად გმირულ შრომას ეწევიან, რათა მაისში სამშობლოს მისცენ ქართული კაპროლაქტამის პირველი პროდუქცია. ხურათზე მარჯვნივ აღბეჭდილია კაპროლაქტამის წარმოების მშენებლობის ერთ-ერთი კორპუსი, რომელიც მალე გადაეცემა ექსპლოატაციოდ.

ფოტოები ნ. ბაიბურინისა და ხ. თბილელისა.

საზოგადოებრივი—უპირველესყოვლისა

მერიელთა ინიციატივა

მახარაძე. (საკ. კორ.). შესანიშნავი ინიციატივა გამოიჩინა მერიის სასოფლო საბჭოს აღმასკომმა, რომელმაც თავის გაფართოებულ სხდომაზე მიიღო მიმართვა რაიონის ყველა სასოფლო საბჭოსადმი, სადაც ნათქვამია:

— გადავწყვიტეთ შვიდწლედის მეხუთე წელს სოფლის მოსახლეობიდან, კოლმეურნეთა პირადი მეურნეობიდან სახელმწიფოს მივყიდოთ 724 ტონა ჩაი. 100 ტონა ციტრუსები, 13 ტონა ხორცი, 11 ტონა რძე, 31 ათასი ცალი კვერცხი, 2 ტონა დაფნის ფოთოლი, 200 ტონა ხილი, 100 ტონა ტუნგო.

მერიელთა თათასობა უეჭველად მისაბაძია, მან ფართო მხარდაჭერა ჰპოვა რაიონის მშრომელებში.

სსრ კავშირის ენერგეტიკისა და ელექტროფიკაციის სამინისტროს კოლეგიამ 4 მარტს განიხილა 1963 წელს ახალ ენერგეტიკულ სიმძლავრეთა ამუშავების გეგმის უზრუნველყოფის საკითხი.

მიმდინარე წელი ენერგეტიკის განვითარების შვიდწლიანი გეგმის შესრულების გადამწყვეტი წელია. ელექტროსადგურების სიმძლავრე უნდა გაიზარდოს 9,6 მილიონი კილოვატით, ძირითადად ახალი მანქანების დადგმის შედეგად. მარტო თბოელექტროსადგურებში ნაკლებ 30-ზე მეტი აგრეგატის ამუშავება, რომელთა სიმძლავრე, თითოეული 100 ათასიდან 300 ათასამდე კილოვატი იქნება.

სხდომაზე აღინიშნავდნენ, რომ ელექტროსადგურების აგება ჯერ კიდევ ზუსტად გრაფიკის მიხედვით არ მიმდინარეობს. მშენებლები ხანდახან არ უზრუნველყოფენ მუშაობის ფრონტს მემონტაჟეებისათვის.

სერიოზული პრეტენზიები წაუყენეს ზოგიერთ ქარხანას, რომლებიც ენერგეტიკულ მოწყობილობას უშვებენ. კერძოდ, აღინიშნული იყო, რომ ტაგანროგის ქვაბების, ზაპოროჟიეს ტრანსფორმატორების, ურალის ელექტროაპარატებისა და ზოგიერთმა სხვა საწარმომ უფრო სერიოზულად უნდა მოჰკიდოს ხელი პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების საქმეს.

კოლეგიამ სამინისტროს მთავარ სამმართველოს დაავალა უზრუნველყონ ენერგეტიკულ სიმძლავრეთა ამუშავების სახელმწიფო გეგმის უცილობელი შესრულება. ყველა სამონტაჟო ტრესტის კოლექტივების ყურადღება გამახვილებული იქნება ამუშავებელ ობიექტებზე.

კოლეგიის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ი. ტ. ნოვიკოვმა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის განყოფილების გამგემ ვ. ს. ფროლოვმა. (საკდესი).

საშიში „იდეები“

ნიუ-იორკი, 5 მარტი. (საკდესი). იმასთან დაკავშირებით, რომ ევროპაში მოლაპარაკება დაიწყო ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ჯ. კენედის სპეციალურმა წარმომადგენელმა ლევინგსტონ მერჩენტმა, იუნაიტედ პრეს ინტერნეიშნლის სააგენტომ გავრცელა ცნობა, რომელშიც გაშუქებულია ნატოს „მრავალმხრივი ატომური ძალების შექმნის ამერიკული იდეები“.

იუნაიტედ პრეს ინტერნეიშნლის სააგენტო აღნიშნავს, რომ ლ. მერჩენტი დასავლეთ ევროპის ქვეყნების დედაქალაქებში, მოგზაურობის დროს შეეცდება „ჩაუნერგოს ნატოს წევრი ქვეყნების მთავრობებს“ „იდეები“, რომელთა არსი შემდეგია:

უნდა შეიქმნას ფლოტი, რომელშიც იქნება 25 ან უფრო მეტი წყალზედა გემი. თითოეულ მათგანზე უნდა იყოს ატომური მუხტებით აღჭურვილი „პოლარისის“ ტიპის დაახლოებით რვა რაკეტა. ამრიგად, დაგეგმილია წყალზედა გემებზე განლაგდეს ამ ტიპის დაახლოებით ორასი რაკეტა.

„ამერიკელები, გერმანელები, იტალიელები და ყოველი სხვა ქვეყნის წარმომადგენლები, — განაგრძობს საგენტო, — დაკარგავენ თავიანთ ეროვნულ სახეს და გახდებიან ნატოს ლეგიონის წევრები, რომელსაც ექნება თავისი განსაკუთრებული სამხედრო ფორმა და თავისი განსაკუთრებული „ალმი“.

ბიოლოგია ხალხის სამსახურში

საბჭოთა კავშირის ვ. ი. ლენინის სახელობის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სესია

მოსკოვი, 5 მარტი. (საკდესი). დღეს მოსკოვში დილის 10 საათზე გაიხსნა საბჭოთა კავშირის ვ. ი. ლენინის სახელობის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სესია, სესიის დღის წესრიგშია ერთი საკითხი: აკადემიის ამოცანები „ბიოლოგიის მეცნიერების შემდგომი განვითარებისა და პრაქტიკასთან მისი კავშირის განმტკიცების ღონისძიებათა შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილების შესრულებაში.

მომხსენებელია საბჭოთა კავშირის ვ. ი. ლენინის სახელობის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი მ. ა. ოლშანსკი. სესიის მუშაობაში მონაწილეობენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე დ. ს. პოლიანსკი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის სოფლის მეურნეობის ხელმძღვანელობის ბიუროს თავმჯდომარე ვ. ი. პოლიაკოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის რუსეთის სფსრ სოფლის მეურნეობის განყოფილების გამგე ი. ს. პანკინი.

საინტერესო ნაპოვნი

პრაღა, 5 მარტი. (საკდესი). პრაღის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის არქივებში ნაპოვნია, წიგნი, რომელშიც არის სამი ანონიმური ტექსტი ფრანგულ ენაზე. ეს ტექსტები განეკუთვნება XVIII საუკუნის შუა წლებს და მიძღვნილია პეტრე პირველისადმი.

პროფესორმა ვაცლავ ჩერნიმ, რომელმაც ეს ტექსტები იპოვა, დაასკვნა, რომ მათი ავტორია დიდი რუსი მეცნიერი მ. ვ. ლომონოსოვი და რომ ეს ტექსტები რუსულ ენაზე არ შემონახულა.

დაძირავებულნი იარაღს ყრიან

კაირო, 5 მარტი. (საკდესი). გაზეთები იუწყებიან, რომ იემენისა და არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის გაერთიანებულმა ჯარებმა, რომლებიც სპობენ მეამბოხეთა წინააღმდეგობის უკანასკნელ კერებს იემენის ტერიტორიაზე, 4 მარტს დაიკავეს მარიბის სამხრეთით მდებარე ჯუბის რაიონი.

რას ელ-არკუბის რაიონში იარაღი დაყარა 30 საუდელ-იორდანელმა დაქირავებულმა, რომლებიც გამოუვალ მდგომარეობაში ჩავარდნენ, მას შემდეგ, რაც რესპუბლიკელთა ჯარებმა გადაუჭრეს მათ საუდის არაბეთში უკანდახევის ყველა გზა.

მანაჩენი მამოუტანენ ოსს-ელეგს

პარიზი, 5 მარტი. (საკდესი). გუშინ გვიან საღამოს სპეციალურმა სამხედრო ტრიბუნალმა განაჩენი გამოიტანა „საიდუმლო შეიარაღებული ორგანიზაციის“ წევრთა ჯგუფის საქმის გამო, რომელმაც გასული წლის გაზაფხულზე სცადა თავს დასხმოდა საფრანგეთის პრეზიდენტს დე გოლს.

ამ თავდასხმის ექვს მთავარ მონაწილეს მიესაჯა სიკვდილი (მათ შორის სამს — დაუსწრებლად). სამ ბრალდებულს მიესაჯა სამუდამო პატიმრობა (მათ შორის ორს აგრეთვე დაუსწრებლად), დანარჩენ ხუთ ბრალდებულს მიესაჯა პატიმრობა 8 წლიდან 15 წლამდე ვადით.

ბაკურიანი — ბუნებრივი ცნობები

ბიბლიოგრაფია

მატარეგლის მარშრუტი წამში!

ტუაფსე, 5 მარტი. (საკდესის კორესპონდენტი). სიხშირულ სადისპეტჩერო ცენტრალიზაციაზე გადაყვანილია ჩრდილოეთ კავკასიის რკინგზის კიდევ ერთი უბანი — არმავირიდან ბელორჩენსკაამდე. ახლა მატარებლის მარშრუტის მოძრაობა ამ მონაკვეთზე თორმეტჯერ დაჩქარდა და სჭირდება მხოლოდ 1,2 წამი.

ტელემექანიკის ეს სიახლე პირველად გაასინჯეს ადლერ-ტუაფსის უბანზე და მაღალი შეფასება მისცეს სპეციალისტებმა.

მისალმება განის ხალხისადმი

ამხანაგებმა ნ. ს. ხრუშჩოვმა და ლ. ი. ბრეჟნევმა განის რესპუბლიკის პრეზიდენტს დოქტორ კვამე ნკრუმას გაუგზავნეს დეპეშა, რომელშიც მეგობარი განის ხალხს ულოცავენ ეროვნულ დღესასწაულს — დამოუკიდებლობის დღეს.

საბჭოთა ადამიანები, ნათქვამია დეპეშაში, კმაყოფილებით აღნიშნავენ, რომ ჩვენს ქვეყნებსა და ხალხებს შორის დამყარდა და წარმატებით ვითარდება ნამდვილი მეგობრობისა და თანამშრომლობის ურთიერთობა, რომელიც შეესაბამება ორი ქვეყნის ხალხთა ურთიერთ ინტერესებს, მთელი მსოფლიოს მშვიდობის განმტკიცების ინტერესებს. (საკდესი).

ბაკურიანი — ბუნებრივი ცნობები

ბიბლიოგრაფია ხალხის სამსახურში

ზღვის დაბადება

დაიწყო სიონის წყალსაცავის ავსება

სიონი. („კომუნისტის“ საკ. კორ.). სიონმშენის წყალსაცავის კაშხალთან გუშინ დიდი გამოცოცხლება იყო. მიუხედავად დიდი თოვლისა, კაშხალთან უამრავმა ხალხმა მოიყარა თავი. აქ იყვნენ სტუმრები დედაქალაქიდან, მეზობელი რაიონებიდან, თიანეთიდან. ყველას სურდა ენახა კაშხალის ჩაკეტვა.

სტუმრები გამარჯვებას ულოცავდნენ მშენებლებს, სიონმშენის სამმართველოს უფროსს, სახელმწიფო პრემიის ლაურეატს გ. მაევსკის, მშენებლობის უფროს ინჟინერს ლ. თავართქილაძეს, კაშხალის უბნის უფროსს ო. ჭინჭარაულს და სხვებს.

დადგა საზეიმო წუთი. ტაშის გრიალში ჩაუშვეს ფარი, რომელმაც ჩაკეტა მთის დაუდეგარი მდინარე იორი. გაივლის მცირე დრო და სადაც ახლა რიყიანი ქვაბული ჩანს, ალივლივდება საქართველოში ყველაზე ახალგაზრდა ზღვა.

□

დიდი ზეიმითა და სიხარულით აღნიშნეს საქართველოს მშრომელებმა 1951 წლის 4 ნოემბერი, როდესაც სამგორის ზედა მაგისტრალურ არხში გაშვებულ იქნა მდინარე იორის წყალი და დაიწყო თბილისის ზღვის ავსება.

სულ მალე დადგება კიდევ ერთი სასიხარულო დღე — მწყობრში ჩადგება სიონის წყალსაცავი. ამ უნიკალური ნაგებობით — უზარმაზარი კაშხალით გადაიღობება მდინარის კალაპოტი და დასაბამი მიეცემა ახალი ზღვის წარმოქმნას. მდინარე იორი მთლიანად დაემორჩილება ხალხის ნება-სურვილს და მისი წყალი კომპლექსურად იქნება გამოყენებული სასოფლო-სამეურნეო კულტურების რწყვის, ჰიდროენერგეტიკის, თევზის მეურნეობისა და სხვა დანიშნულებისათვის.

სიონის წყალსაცავის კაშხალი უზარმაზარ ხელოვნურ მთას წარმოადგენს, რომლითაც გადაღობილია მდინარე იორის ხეობა. მისით სამუდამოდ შეერთდა საუკუნეობით დაშორებული და მდინარისაგან განცალკევებული, ბუნებრივი სილამაზით შემკობილი და მიმზიდველი ორი მთა. კაშხალისაგან შექმნილი ხელოვნური ზღვა კიდევ უფრო დაამშვენებს ისედაც თვალწარმტაც და მომხიბვლელ ბუნებას. სიონი მშრომელთა დასვენების ტურიზმის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კერა გახდება.

სიონის წყალსაცავის სასარგებლო მოცულობა 300 მილიონ კუბურ მეტრს შეადგენს, ხოლო წყლის ზედაპირის ფართობი 1.100 ჰექტარია. წყალსაცავის ჰიდროკვანძი რთულ ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა კომპლექსს წარმოადგენს. იქ ერთმანეთთან შერწყმულია: მიწის ვეებერთელა კაშხალი, ჰიდროელექტროსადგური, საირიგაციო და ჰიდროენერგეტიკული გვირაბები, წყალმიმღები ნაგებობანი, სამონტაჟო და საექსპლოატაციო შახტები. ზედმეტი წყლის ჯამშვები. ღია წყალსაგდები, ხიდები. გზები და სხვა მრავალი.

მდინარე იორის წყლის რესურსების კომპლექსურად და რაციონალურად გამოყენების მეტად მნიშვნელოვანი პრობლემა.

წყალსაცავში დაგროვდება მდინარის მთელი ჩამონადენი, და თვითეული კუბური მეტრი წყალი დაიხარჯება მხოლოდ დანიშნულებისამებრ.

სიონის ზღვიდან წყალს მიიღებენ ზედა და ქვედა სამგორის სარწყავი სისტემები, რომელებიც ააყვავებენ სამგორისა და იორის გადამწვარ ველებს და საუკუნეობით გამოუყენებელ მიწის სხვა მასივებს, რითაც კიდევ უფრო გაფართოვდება რესპუბლიკის სოფლის მეურნეობა და გაიზრდება მისი ეკონომიური ბაზა. წყალსაცავში დაგროვილი წყალი აამუშავებს სიონის კაშხალთან აგებულ ჰიდროელექტროსადგურს და გაუთმაჯობესებს სამგორში არსებული საცხენისის, მარტყოფისა და თეთრი ხევის ჰესების მუშაობას, რითაც საგრძნობლად გაიზრდება ჩვენი ჰიდროენერგეტიკული სიმძლავრეები და ელექტროენერგიის გამომუშავების ოდენობა. წყალსაცავის ბაზაზე შეიქმნება ძვირფასი ჯიშების თევზის მეურნეობა და სხვ.

მეტად საინტერესოდ არის გადაწყვეტილი მდინარე იორის წყლის კომპლექსურად გამოყენების სქემა, სიონთან აშენებული კაშხალით შექმნილი წყალსაცავი დაგროვებს მდინარის მთელ ჩამონადენს. წყალსაცავიდან გაშვებული წყალი აამუშავებს სიონის ჰიდროელექტროსადგურს და მდინარის კალაპოტით გაპყვება თავის ძველ გზას, სანამ მას გზაში არ გადაეღობება სოფელ პალდოსთან მდინარის კალაპოტში აგებული კაშხალი. კაშხალთან არსებული წყალმიმღები ნაგებობის საშუალებით წყალს იღებს ზედა სამგორის სარწყავი სისტემის ზედა მაგისტრალური არხი, რომლის ტრასა რთული ტოპოგრაფიული და გეოლოგიური პირობებით ხასიათდება.

ტრასაზე აგებულია გვირაბები და სხვა ხელოვნური ნაგებობანი. მასზე არსებობს სამი წყალვარდნილი, სადაც საცხენისის, მარტყოფისა და თეთრი ხევის ჰიდროელექტროსადგურებია აშენებული. მაგისტრალური არხიდან გამოდის შტო ლილო-მარტყოფის არხის სახელწოდებით და სხვა განმანაწილებელი სარწყავი არხები, რომლებიც სარწყავ წყალს აწვდიან იქ არსებული საბჭოთა მეურნეობების მიწის ფართობებს. მაგისტრალური არხის ბოლოში მდებარეობს თბილისის ზღვა, რომელიც აღნიშნული არხიდან იკვებება. თბილისის ზღვის მნიშვნელობა ყველასათვის ცნობილია. იგი დედაქალაქის მშრომელთა დასვენების მეტად მნიშვნელოვანი კერაა, გამოყენებულია თევზის მეურნეობისათვის და სხვა. თბილისის ზღვაში ხდება წყლის დაგროვება, რომელიც იხარჯება სასოფლო-სამეურნეო კულტურების რწყვის საჭიროებისათვის. ზღვიდან გამოდის ზედა სამგორის სარწყავი სისტემის ქვედა მაგისტრალური არხი და ღრმაღელისა, და გლდანის სარწყავი არხები. თბილისის წყალსაცავი გამოყენებულია აგრეთვე ქალაქის წყალმომარაგების წყაროდ.

ზედა სამგორის სარწყავი სისტემა უზრუნველყოფს 40,8 ათასი ჰექტარი მიწის ფართობების მორწყვას. წყალსაცავში დაგროვილი წყლის ბაზაზე იმუშავებს ქვედა სამგორის სარწყავი სისტემა, რომლის მშენებლობა გაცხოველებული ტემპით მიმდინარეობს. წყალსაცავიდან გამოშვებული წყალი ალდოს კაშხალის გავლით მდინარე იორის კალაპოტით სოფელ ნინოწმინდამდე მიაღწევს, სადაც შენდება ქვედა სამგორის სარწყავი სისტემის სათავე-ნაგებობა. სათავიდან წყალს მიიღებს ორი მაგისტრალური არხი, რომლებიც გაყვანილი იქნება იორის მარცხენა და მარჯვენა ნაპირზე. სარწყავი არხებით დაისერება მიწის დიდი მასივები, რაც უზრუნველყოფს 31,8 ათასი ჰექტარი ფართობის მორწყვას. სახე შეეცვლება და აბიბინდება იორის ველები და განვითარდება მაღალპროდუქტიული სოფლის მეურნეობა.

სახელოვანი მშენებლების დაუღალავი და გმირული შრომის შედეგად მოპოვებულია დიდი გამარჯვება. სულ მალე საექსპლოატაციოდ გადაეცემა სიონის გრანდიოზული წყალსაცავი, რაც კომუნიზმის მშენებლობის დიადი პროგრამის განხორციელების საქმეში ერთ-ერთი დიდმნიშვნელოვანი ნაბიჯი იქნება.

ი. ლაღიძე,
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წყლის რესურსების გამოყენებისა და დაცვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე.



საამქროდან — პარლამენტისაკენ

საამყოფებო საამქრო იმოდენაა, რომ ცხენი გაჭენდება. სამი მუშა ჩაკკირიტებს ვეებერთელა მექანიზმს.

— ეს როტორული ხაზია, — ამბობს მუშა ალექსეევსკო, — რესპუბლიკაში პირველი როტორული ხაზი, რომელიც თბილისის პლასტმასის ქარხნის დაკვეთით მზადდება. მას სული შთაბერეს შოთა ფირცხალავამ და მისმა ამხანაგებმა ნაირ კაზარიანმა და ნიკოლოზ სტოროჟენკომ.

ეს შესანიშნავი სამეული ერთი ინტერნაციონალური ოჯახია. ისინი წინასაარჩევნო ვახტზე დგანან.

შოთა ფირცხალავას ირგვლივ მეგობრებსა და კორესპონდენტებს შეუკრავთ წრე. ულოცავენ შოთას: ის ხომ რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატია.

მუშათა დინასტიის ერთი შტოა შოთა. მან აკვანშივე შეისისხლხორცა მშობლების მაზუთით და ოფლით გაჟღენთილი ტანსაცმლის თავისებური არომატი, კოურიანი ხელების ალერსი... ეს იყო ქარხნის სუნთქვა, მის ბავშვურ სამყაროში შემოჭრილი. თითქოს ქარხანა, სადაც მას მომავალში ელოდა ცხოვრების დიდ გზაზე გავლა, აკვანს ურწევდა შოთას...

შრომის კულტი მუდამ იყო მათ ოჯახში.

ომმა სხვა ფანტაზიით დაატყვევა ბავშვის გონება. საშუალო სკოლა მიატოვა და ნახიმოველთა სკოლაში შესვლა გადაწყვიტა. ღამღამობით ზღვა და ხომალდები, ოქროს დაშნა და ადმირალის სამხრეები ელანდებოდა. შემდეგ ტექნიკამ გაიტაცა. უკვირდა, რა კაცია ეს ედისონი, ტელეფონი რომ გამოიგონა. ერთხელ ნახიმოველთა სკოლიდან შოთამ წამოიღო შინ ტელეფონის აპარატი და ნაწილ-ნაწილ დაშალა. შემდეგ სპიდომეტრიც მოაყოლა. ისიც დაშალა...

შოთა ფირცხალავამ კიროვის სახელობის ჩარხსამშენებლო ქარხნის სახელოსნო სასწავლებლის კარზე დააკაკუნა. კარი გაღებულ. ზეთით გაჟღენთილი ჯუბა ჩააცვეს, ჩარხთან მიიყვანეს. სიმაღლე არ ჰყოფნიდა, უუთზე დააყენეს, და შოთა მუშა გახდა. ასე გაგრძელდა ფირცხალავების მუშათა დინასტიის ერთი შტო ჩარხსაშენებელ ქარხანაში.

მას აქეთ ბევრმა წყალმა ჩაიარა.

ნიჭი აღმოაჩნდა შოთას. საოცარი ნიჭი.. მართალია, არც პოეტისა, არც კომპოზიტორისა. უბრალოდ მუშის ტალანტი აღმოაჩნდა გამოგონება და რაციონალიზაცია მისი სტიქია იყო.

დღეები დადეს მისდევდნენ, რაციონალიზატორული წინადადებები ემატებოდა ერთმანეთს, და აგერ 40-მდე მოგროვდა... ეს ათასობით მანეთის ეკონომია იყო...

— კარგი ბიჭია ჩვენი შოთა,—თქვეს ერთხელ კომუნისტმა მუშებმა ა. შელიუგოვმა და ფ. სევაპლიასოვმა, — მოდი მივცეთ რეკომენდაცია პარტიის რიგებში შესასვლელად.

შოთა ფირცხალავას ცხოვრებაში ახალი ეტაპი დაიწყო. ის გახდა კომუნისტი, დიდი ლენინური პარტიის წევრი. თითქოს სიმაღლე მიემატა და მხარბეჭი გაუგანიერდა ვაუკაცს. მკლავში ღონე მიემატა. ამა, ისე როგორ შეძლებდა იმ დღიდან ნორმების ორმაგად შესრულებას.

შოთას უნდოდა შრომით გაემართლებინა კომუნისტის მაღალი ღირსება. რესპუბლიკაში ის ერთ-ერთი პირველი გამოეხმაურა კომუნისტური შრომის მოძრაობას. ზეინკალ-ამწყობი შოთა ფირცხალავა სწავლობდა მარქსიზმის კლასიკოსთა ნაშრომებს კომუნისტურ შრომაზე. ლენინის „დიდი თაოსნობა“ მაგიდის წიგნად გაიხადა. ბევრს კითხულობდა ტექნიკურ ლიტერატურას. სწავლობდა თავისი პროფესიის ადამიანების, მოწინავე ზეინკლების მიღწევებს, ეხმარებოდა ქარხნის ტექნიკური პერსონალი, ინჟინრები, ტექნიკოსები. ამ მუყაითი შრომის შედეგი იყო არა მარტო რაციონალიზატორულ წინადადებათა შეტანა, არამედ ის ფაქტიც, რომ ერთხელ...

...ქარხნის მუშა-მოსამსახურეთა საზეიმო შეკრება იყო... მიკროფონთან იდგა ქარხნის დირექტორი ნ. კიზივაძე და იღიმებოდა... დიახ, სასახარულო ამბავს იუწყებოდა: შოთა ფირცხალავას საქართველოში ერთ-ერთ პირველს მიენიჭა ჩვენი თანამედროვე შრომელი ადამიანისათვის ყველაზე ძვირფასი სახელი—კომუნისტური შრომის დამკვრელის წოდება.

იყო ტაში, მილოცვები...

შოთამ კი ასე განსაჯა:

— დღეიდან კიდევ მეტი შრომაა საჭირო!

საკუთარ ნაჭუჭში ჩაკეტვა არ უყვარს ზეინკალს. ვინ იცის, რამდენ მუშას გაუზიარა თავისი მდიდარი გამოცდილება. მისი ხელმძღვანელობით ქარხანაში 15-მდე ზეინკალი მომზადდა. გუშინ თვითონ იყო მოსწავლე, დღეს სხვისი მასწავლებელია.

სხვას რომ ასწავლო, თვითონ უნდა სწავლობდე. ამიტომაც სწავლობს შოთა ყოველივე ახალს, პროგრესულს თავის პროფესიაში. ყოველთვის ეხმარება სხვას. ახლაც. როტორულ ხაზს რომ აწყობენ, შოთა თავის მეგობრებს ნაირს და ნიკოლოზს ბევრ საგულისხმო მომენტს უჩვენებს.

შოთა თავის გამოცდილებას არა მარტო მშობლიური ქარხნის მუშებს უზიარებს, არამედ მთელი თბილისის მუშათა საკუთრებად ხდის მას. ამ დღეებში თბილისის ტექნიკის სახლში მოეწყობა „ზეინკლის დღე“. შოთა იქ მოხსენებას გააკეთებს, მოუთხრობს თანამოსაკმეებს იმ სიახლეებზე შრომის ნაყოფიერების ზრდის საქმეში, რასაც მიაღწია სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის ბრძოლაში.

გამოვდივართ საამქროდან.

ქარხნის დერეფანში გვეთხრეს, რომ შოთა არა მარტო კარგი ზეინკალია, არამედ კარგი საზოგადოებრივი მუშაკიც.

საამწყობო საამქროს პარტბიუროს წევრი თვალყურს ადევნებს საagიტაციო-მასობრივ მუშაობას.

შოთა ქარხნის იურიდიული კომისიის თავმჯდომარეც არის. სამუშაო საათების შემდეგ ხშირად არჩევს მუშათა განცხადებებს, აძლევს პასუხს, რეკავს საჭირო ინსტანციებში...

არ გაგიკვირდეთ, დედაქალაქის ავტობუსში ან ტროლეიბუსში საშუალო ტანის შავგუშა ვაუკაცმა თუ ბილეთი მოგთხოვოთ. ამის უფლება აქვს ქალაქის ტრანსპორტის საზოგადოებრივ კონტროლიორს ამხ. ფირცხალავას.

არც ის გაგიკვირდეთ, თუ მუშებმა ზანგურიძემ, გოგიჩაიშვილმა და სხვებმა შოთას შესაქებად ლამაზი ეპითეტები გითხრან. ქარხნის კომიტეტის წევრმა ფირცხალავამ მათ დახმარება გაუწია ბინის მოლებაში.

— მას ყველა მონაცემები აქვს, რომ ხალხის მსახური იყოს, — თქვეს მუშებმა, — ღირსეული დეპუტატი იქნება.

და შოთა ფირცხალავას კანდიდატურა წამოაყენეს კიროვის სახელობის ჩარხსამშენებლო ქარხნის მუშებმა რესპუბლიკის პარლამენტში დეპუტატობის კანდიდატად.

— ღირსია, — ამბობენ მუშები.

შოთა კი დგას ჩარხთან, კოურიანი ხელებით და ზეთით გაჟღენთილი სპეცტანსაცმელით და შრომობს ახალი ენერგიით.

შრომა!

მან აამაღლა უბრალო მუშა სახელმწიფო მოღვაწის კანდიდატურამდე.

ძარღვიანი ხელები აქვს შოთას. ამ ხელებით აწყობილი ჩარხები დგანდგარებენ კუბაში თუ კენიაში, პოლონეთსა თუ მონღოლეთში, დედამიწის თითქმის ყველა კონტინენტზე.

იცოდეს ყველამ, ვინც ამ ჩარხებთან შრომობს ყველა გრძედსა და მერიდიანზე, რომ ამ მანქანებს ქმნის ჩვენი რესპუბლიკის პარლამენტის დეპუტატობის კანდიდატი, უბრალო მუშა— შოთა ფირცხალავა.

ვლ. ალფენიძე.

ეროვნული ერთიანობა — ბიბლიოთეკა — ეროვნული შეხვედრა — არჩევნებს

„დანაგოგი ნედლეულით

საბჭოების არჩევნებისადმი მიძღვნილ სოციალისტურ შეჯიბრებაში დაწინაურდა თბილისის № 1 სამკერვალო ფაბრიკა. ფაბრიკის კოლექტივმა დიადი შვიდწლედის მეხუთე წლის ორი თვის გეგმა 111,5 პროცენტით შეასრულა. პროდუქციის გამოშვების პირველი ხარისხის დავალება განაღდებულია ორი პროცენტის გადამეტებით. ორი თვის მანძილზე პროდუქციის თვითღირებულება შემცირებულია 24.000 მანეთით.

ყაირათიანი და მომჭირნეობით მუშაობის შედეგად ფაბრიკაში ორი თვის მანძილზე დაზოგილია 4.500 კოჭი ძაფი, რომლითაც შეიძლება შეიკეროს 200 პალტო, ხოლო 2.400 კვადრატული მეტრი შალის მატერიიდან, რაც ფაბრიკამ ორ თვეში დაზოგა, დამატებით შეიკერება ბავშვის 1.500 პალტო.

სამი დღით ადრე

თბილისის კერამიკული კომბინატის კოლექტივი, დადგა რა წინასაარჩევნო შრომითს ვახტზე შრომაში მოპოვებული ახალი მიღწევებით ხვდება არჩევნებს. ქარხანამ თებერვლის გეგმა სამი დღით ადრე 106 პროცენტით შეასრულა, საგრძნობლად გაზარდა შრომის ნაყოფიერება და გეგმის გადამეტებით 12 ათასი მანეთის პროდუქცია გამოუშვა.

სოციალისტურ შეჯიბრებაში დაწინაურდა მხატვრული კერამიკის საამქრო, რომელსაც ვ. ბახტაძე ხელმძღვანელობს. ამ საამქრომ თებერვლის დავალება 140 პროცენტით გაანაღდა.

მესიმინდე ტრაქტორისტი

გალის რაიონში სიმინდის უზარმოსავლის მიღებით სახელი გაითქვა სოფელ ოქუმის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის წევრმა კარლო ჯობავამ. შარშან მან ერთ ჰექტარზე 145 ცენტნერი მარცვალი მიიღო.

კ. ჯობავა წელსაც კარგად ემზადება სიმინდის თესლისათვის, მზად აქვს თესლი. უუბანელ, ყვარელელ და ზუგდიდელ მშრომელთა მაგალითით მან ვალდებულება აიღო ჰექტარზე 160 ცენტნერი მარცვალი მიიღოს. ახალგაზრდა მესიმინდემ გადაწყვიტა ნათესი ხელით შრომის გამოუყენებლად დაამუშაოს. იგი ახლა ტრაქტორის მართვას სწავლობს.

სურათზე: კ. ჯობავა.

ფოტო ი. ჭობონელიძისა (საქდესის ფოტოქრონიკა).

არჩევნებისადმი მიძღვნილი

თბილისის ბამბის ფაბრიკის კოლექტივმა ფართოდ გაშალა არჩევნებისადმი მიძღვნილი სოციალისტური შეჯიბრება და თებერვლის დავალება ორი დღით ადრე 100,7 პროცენტით შეასრულა, სარეალიზაციო გეგმა კი 23 თებერვლისათვის გაანაღდა.

ფაბრიკამ თებერვალში გეგმის გადამეტებით 5,7 ტონა ჰიგროსკოპიული ბამბა გამოუშვა.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და თბილისის კომიტეტის პოლიტიკური განათლების რესპუბლიკურმა სახლმა დუშეთში მოაწყო გამსვლელი კონსულტაციები პროპაგანდისტებისა და სემინარების ხელმძღვანელებისათვის.

გამსვლელი კონსულტაციები

კონსულტაციები მოეწყო დიფერენცირებულად ცალცალკე: სოფლის მეურნეობის ეკონომიკის, კომუნისტური აღზრდის და სკკპ ისტორიის საკითხებზე.

პროპაგანდისტებისა და სემინარების ხელმძღვანელებს ესაუბრნენ ეკონომიურ მეცნიერებათა კანდიდატი ო. ტატიშვილი, პედაგოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი შ. კუჭუხიძე და ვ. ი. ლენინის მუზეუმის საქართველოს ფილიალის ლექტორი შ. გოგიძე.

საწარმოო — სამეცნიერო კონფერენცია ამბროლაურში

ამბროლაურის საწარმოო სამმართველოს პარტიული კომიტეტის სხდომათა დარბაზში გაიმართა საწარმოო-სამეცნიერო კონფერენცია, რომელზეც განიხილეს საზოგადოებრივი მევენახეობის განვითარების საკითხი. კონფერენციას ესწრებოდნენ რაიონის მევენახეობის კოლმეურნეობათა თავმჯდომარეები, პარტიული ორგანიზაციების მდივნები, აგრონომები, მექანიზატორები, საწარმოო სამმართველოს მუშაკები, ყურძნის უხვი მოსავლის ოსტატები.

კონფერენციაზე მოსმენილ იქნა მეცნიერ შუშაკა ხუთი მოხსენება. ამბროლაურის რაიონში მევენახეობის მდგომარეობისა და მისი შემდგომი განვითარების პერსპექტივებზე მიმოხილვა გაკეთა ხაქარის საცდელი სადგურის აგროტექნიკის განყოფილების გამგემ, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატმა **გ. გაფრინდაშვილმა.** მანვე ილაპარაკა ვაზის გასხვლა-ფორმირებისა და დატვირთვის აგროტექნიკურ ღონისძიებებზე.

მეხილეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ თანამშრომლის, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატის **ი. სულიკაშვილის** მოხსენება მიეძღვნა ვენახებში სიმეჩხრის წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებებს.

ვაზის მავნებლებისა და ავადმყოფობათა, აგრეთვე მათ წინააღმდეგ თანამედროვე ბრძოლის საშუალებებზე მოხსენებით გამოვიდა საქარის საცდელი სადგურის მცენარეთა დაცვის განყოფილების გამგე სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი **ა. სუთიძე.** ვენახებში ნიადაგის დამუშავებისა და სასუქების გამოყენების წესებს მიეძღვნა მებაღეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ თანამშრომლის, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატის **ე. ვაშაძის** მოხსენება.

კონფერენციაზე სიტყვებით გამოვიდნენ: ამბროლაურის საწარმოო სამმართველოს პარტიული კომიტეტის ინსპექტორ-პარტორგანიზატორი **ს. გაგოშიძე,** ხვანჭკარის კოლმეურნეობის აგრონომი **შ. გაგნიანი,** ბოსტანის კოლმეურნეობის თავმჯდომარე **ი. შაუთიძე,** ჭელიანელის კოლმეურნეობის აგრონომი **ბ. გოგილიძე,** ხიდიკრის კოლმეურნეობის თავმჯდომარე **ო. გოცირიძე,** სამტრესტის ამბროლაურის ქარხსამმართველოს უფროსი **მ. ეგვინე ე. ბაკურაძე** და სხვ. მათ ილაპარაკეს მევენახეობის შემდგომ განვითარებაზე, ყურძნის უხვი მოსავლის მიღების თავიანთ გამოცდილებაზე.

კონფერენციაზე სიტყვით გამოვიდა საქართველოს კომპარტიის ამბროლაურის საწარმოო სამმართველოს პარტიული კომიტეტის მდივანი **მ. გიბილაშვილი.**

ვ. ვაჩაძე,

ამბროლაურის სარაიონთაშორისო გაზეთ „კომუნიზმის დროშის“ რედაქტორი.

საყოველთაო, სახალხო დემოკრატია

მკითხველის დასახმარებლად

საბჭოთა ხალხი ახალი შრომითი აღმავლობით ხვდება მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოებისა და ადგილობრივი საბჭოების არჩევნებს.

კომუნისტური საზოგადოების გაშლილი მშენებლობის პერიოდში უმაგალითოდ გაიზარდა როლი და მნიშვნელობა შრომელთა დეპუტატების საბჭოებისა, რომელნიც საბჭოთა ხალხის ნებას და ინტერესებს გამოხატავენ. სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმმა აღნიშნა, რომ საბჭოებმა გადამწყვეტი როლი უნდა შეასრულონ მოსახლეობის მომსახურების ორგანიზაციისა და ადამიანთა ყოფაცხოვრების გაუმჯობესების საქმეში. ამ მიზნით ჩვენი ქვეყნის მრავალ ოლქში შეიქმნა მშრომელთა დეპუტატების საოლქო სამრეწველო და სასოფლო საბჭოები, გამსხვილდულ იქნა სასოფლო რაიონები, რის შედეგადაც თითქმის ორჯერ შემცირდა რაიონების რაოდენობა. ამ გარდაქმნების შედეგად შეიცვალა საბჭოების არჩევნების საარჩევნო ნორმები, ცვლილებებია შეტანილი საარჩევნო დებულებაში.

ყველა ეს ცვლილება მიზნად ისახავს შრომელთა ფართო მასების ჩაბმას სახელმწიფო ხელისუფლების განხორციელებაში, საყოველთაო-სახალხო დემოკრატიის შემდგომ განვითარებას.

საბჭოთა სახელმწიფოს განვითარების პირველ ფაზაში, რომელიც ცხობილია კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გარდამავალი პერიოდის სახელწოდებით, სსრ კავშირი პროლეტარიატის დიქტატურის სახელმწიფო იყო. პროლეტარიატის დიქტატურის სახელმწიფოში საბჭოთა სოციალისტური დემოკრატია მიზნად ისახავდა უზრუნველეყო პროლეტარიატის ხელმძღვანელობით მშრომელი მასების ბატონობა დამხობილ ექსპლოატატორულ კლასებზე. ამ პერიოდის საბჭოთა სახელმწიფო, ვ. ი. ლენინის თქმით, იყო **„ახლებურად დემოკრატიული (პროლეტართა და საერთოდ უქონელთათვის) და ახლებურად დიქტატორული (ბურჟუაზიის წინააღმდეგ)“.**

კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გარდამავალ პერიოდში როგორც სახელმწიფო ხელისუფლებისადმი, ისე საზოგადოებისადმი პოლიტიკურ ხელმძღვანელობას ახორციელებდა მუშათა კლასი, რომელსაც მოსახლეობის სხვა ფენებთან შედარებით ჰქონდა გარკვეული უპირატესობანი საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა დარგში. ამ პერიოდში ხალხის ნების ჩამოყალიბებაში გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა მუშათა კლასის ნებას.

პროლეტარიატის დიქტატურის ეპოქაში სოციალისტურ დემოკრატიას მართალია უდიდესი უპირატესობა ჰქონდა ბურჟუაზიულ დემოკრატიასთან შედარებით, მაგრამ იგი მაინც არ წარმოადგენდა საყოველთაო-სახალხო დემოკრატიას. მიუხედავად ამისა, პროლეტარიატმა დემოკრატიამ უზრუნველყო კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გარდამავალი ეპოქის ამოცანების წარმატებით გადაჭრა.

საბჭოთა საზოგადოების განვითარების თანამედროვე ეტაპზე პროლეტარული დემოკრატია გადაიქცა საყოველთაო-სახალხო სოციალისტურ დემოკრატიად. ამიტომ იგი ხორციელდება საბჭოების ხელისუფლების ფორმით. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამჟამად საბჭოები სსრ კავშირში აღარ წარმოადგენენ პროლეტარიატის დიქტატურის სახელმწიფოებრივ ფორმას, არამედ ჩვენს ქვეყანაში კოდეგ სახელმწიფო ხელისუფლების განხორციელებაში მონაწილეობს მთელი საბჭოთა ხალხი.

მაგრამ ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის მონაწილეობისა ფორმები სახელმწიფოს ხელისუფლების განხორციელებაში ერთნაირი არ არის. ზოგიერთ შემთხვევაში საბჭოთა ხალხი უშუალოდ მონაწილეობს სახელმწიფო ორგანოების საქმეთა-ნობაში, სხვა შემთხვევაში კი ხალხს ნება ხორციელდება მის მიერ არჩეული წარმომადგენლების საშუალებით. სახელმწიფო ხელისუფლების განხორციელებაში ხალხის მასების მონაწილეობის ამ თავისებურებებიდან წარმოსდგება საყოველთაო-სახალხო სოციალისტური დემოკრატიის ორი ფორმა: უშუალო დემოკრატია და წარმომადგენლობითი დემოკრატია.

საბჭოთა სახელმწიფოს წარმოშობის პირველი დღიდანვე საბჭოთა მთავრობა და კომუნისტური პარტია განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდნენ მშრომელთა უშუალოდ ჩაბმას სახელმწიფო ხელისუფლებას მართვაში. საბჭოთა სახელმწიფოს შემქმნელი ვ. ი. ლენინი მიგვითითებდა, რომ **„საჭიროა არა მარტო მარტო დემოკრატიის ტიპის წარმომადგენლობა, არამედ ქვევიდან, თვითონ მასების მიერ მთელი სახელმწიფო მართვა-გამგეობის აგება, ცხოვრების ყოველ ნაბიჯში მათი ქმედითი მონაწილეობა, მათი აქტიური როლი მართვა-გამგეობაში“.**

კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გარდამავალი პერიოდის ამოცანების წარმატებით გადაჭრის შედეგად საბჭოთა სახელმწიფო პროლეტარიატის დიქტატურის სახელმწიფოდან გადაიქცა საერთო-სახალხო სახელმწიფოდ, რამაც მტკიცი საფუძველი შექმნა სახელმწიფო ხელისუფლების განხორციელებაში მთელი ხალხის ჩაბმისათვის, უშუალო დემოკრატიის შემდგომი განვითარებისათვის.

სსრ კავშირის კონსტიტუციი ითვალისწინებს უშუალო დემოკრატიის ისეთ ფორმებს, როგორიც არის რეფერენდუმი, ე. ი. კანონშოექტების მიღება უშუალოდ მოქალაქეების მიერ კენჭისყრით, სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებში წარმომადგენელთა არჩევა, დეპუტატის უკან გამოწვევა, ამომრჩეველთა კრებები, სოფლის ყრილობები და ა. შ.

უშუალო დემოკრატიის ამ დაწესებულებების მიერ მიღებული დადგენილებანი და გადაწყვეტილებანი, როგორც ხალხის ნება სავალდებულოა. ეს იმას ნიშნავს, რომ მშრომელი მასების მიღებულ დადგენილებებსა და გადაწყვეტილებებს განსაკუთრებული იურიდიული ძალა და მორალურ-პოლიტიკური ავტორიტეტი აქვს.

უკანასკნელ წლებში ჩვენს ქვეყანაში ფართო გავრცელება ჰპოვა მოქალაქეთა ინდივიდუალურმა ინიციატივამ, რომელიც გლინდება კანონშოექტების საყოველთაო-სახალხო განხილვაში. კანონშოექტების საყოველთაო-სახალხო განხილვის დროს მოქალაქეთა ინდივიდუალური ინიციატივა ერთიანდება საზოგადოებრივ, კოლექტიურ ინიციატივასთან, რამდენადაც ცალკეულ მოქალაქეთა წინადადებები მშრომელთა კრებებზე განხილვის შემდეგ, წარედგინება სახელმწიფო ორგანოებს სახალხო კრებების სახელით.

უშუალო დემოკრატიისაგან განსხვავებით წარმომადგენლობითი დემოკრატია ხორციელდება ყველა სახის მშრომელთა წარმომადგენლობითი ორგანოების მიერ. ასეთი წარმომადგენლობითი ორგანოებია მშრომელთა დეპუტატების საბჭოები და მათი ორგანოები, საზოგადოებრივი და ნებაყოფლობითი ორგანიზაციები, მშრომელთა საკავშირო რესპუბლიკური და ადგილობრივი კონფერენციები, თათბირები, ყრილობები და ა. შ.

მშრომელთა დეპუტატების საბჭოები ხელისუფლების წარმომადგენლობითი ორგანოებია, რომელთა შემადგენლობაში საბჭოთა ხალხი თავისი წრიდან ირჩევს ყველაზე მოწინავე და შეგნებულ ნაწილს. მშრომელთა დეპუტატების საბჭოები საბჭოთა ხალხის ნებას ახორციელებენ მათი წარგზავნილები — დეპუტატები, რომლებსაც ამომრჩევლები აძლევენ განაწესს.

კომუნიზმის გაშლილი მშენებლობის პერიოდში საბჭოები წარმოადგენენ საბჭოთა ხალხის სახელმწიფოებრივი ორგანიზაციის არა მარტო პოლიტიკურ ფორმას, არამედ ჩვენს ქვეყანაში ექსპლოატატორული კლასების ლიკვიდაციის შემდეგ ისინი საზოგადოებრივი ორგანიზაციის ფორმასაც წარმოადგენენ. სკკპ პროგრამაში ნათქვამია, რომ საბჭოები ხალხის ყოვლისმომცველი ორგანიზაცია, მისი ერთიანობის განსახიერება არიან. „საბჭოები, რომლებშიც ერთმანეთთან შეხამებულია სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ორგანიზაციის ნიშნები, სულ უფრო მეტად გამოდიან როგორც საზოგადოებრივი ორგანიზაციები, რომელთა საქმიანობაშიც ფართოდ და უშუალოდ მონაწილეობენ მასები“.

საერთო-სახალხო სოციალისტური სახელმწიფოს არსებობის პირობებში სოციალისტური დემოკრატიის განვითარების ტენდენცია ისეთია, რომ უახლოეს ხანში დემოკრატიისა და კომუნისტურ საზოგადოებრივ თვითმმართველობას შორის გასხვავება მთლიანად მოისპობა.

მას შემდეგ, რაც საბჭოთა სახელმწიფო პროლეტარიატის დიქტატურის სახელმწიფოდან საერთო-სახალხო სახელმწიფოდ გადაიქცა, მნიშვნელოვნად გაიზარდა საბჭოთა ხალხის როლი სახელმწიფო ხელისუფლების განხორციელების საქმეში. 1962 წელს არჩევნებში მონაწილეობდა 140 მილიონი კაცი. დეპუტატად არჩეულ იქნა დაახლოებით 2 მილიონი კაცი. სკკპ პარტია აერთიანებს 10 მილიონ კაცს, საბჭოების აპარატს შეადგენს 20 მილიონი კაცი. მშრომელთა საზოგადოებრივ ორგანიზაციებში კი გაერთიანებულია 130 მილიონი კაცი.

საბჭოთა საზოგადოების განვითარებას თანამედროვე ეტაპზე მშრომელთა პოლიტიკური აქტივობის ზრდა განპირობებულია აგრეთვე წარმომადგენლობითი დემოკრატიის ისეთი დაწესებულებების მუშაობის გარდაქმნით, როგორიც არის საზოგადოებრივი ორგანიზაციები — პროფკავშირები, კოოპერაციული გაერთიანებები, კომკავშირი და ა. შ.

საყოველთაო-სახალხო სოციალისტური დემოკრატიის სისტემაში ყველა წარმომადგენლობითი დაწესებულებისა და ორგანიზაციის ხელმძღვანელი და წარმართველი ძალაა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია. პარტიის წესდებაში ნათქვამია, რომ პარტიული ორგანიზაციები ვალდებული არიან განახორციელონ „საბჭოების პროფკავშირების, კომკავშირის, კოოპერაციისა და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების ხელმძღვანელობა მათი პარტიული ჯგუფების მეშვეობით, მშრომელთა სულ უფრო ფართოდ ჩაბმა ამ ორგანიზაციების მუშაობაში, მასების თვითმოქმედებისა და აქტივობის განვითარება, როგორც სოციალისტური სახელმწიფოებრიობიდან კომუნისტურ საზოგადოებრივ თვითმმართველობაზე თანდათანობით გადასვლის აუცილებელი პირობა“.

მართალია, კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის განსაზღვრულ ეტაპზე სოციალისტური დემოკრატია კარგავს კლასობრივ, პროლეტარულ ხასიათს, მაგრამ თავისი შინაარსით კვლავ სოციალისტური რჩება. იგი იქცევა საყოველთაო-სახალხო დემოკრატიად.

სოციალისტური საზოგადოებისა და დემოკრატიის შემდგომი განვითარების შედეგად კიდევ უფრო გაიზრდება სსრ კავშირის თვითეული მოქალაქის როლი სახელმწიფო ხელისუფლების განხორციელებაში. იმას, რასაც წინათ აკეთებდა საჯარო ხელისუფლება, კერძოდ სახელმწიფოებრივი აპარატი, გააკეთებს ყველა მოქალაქე, მთელი საზოგადოება. რაც ზედმეტს გახდის სახელმწიფოს, მაშინ ადამიანთა ურთიერთობაში სახელმწიფო გამოვა მთელი საზოგადოების სახელით და იგი მთლიანად შეიცვლება კომუნისტური საზოგადოების თვითმმართველობით.

დოცენტი ვ. აბაშმაძე.

ავტომშენებლები მოითხოვენ

ჟუთაისის ცენტრიდან ავტოქარხნის ტერიტორიაზე ან მუშათა დაბაში რომ მოხვედ, ტროლეიბუსის ორი მარშრუტი უნდა გამოიცვალო. ცენტრიდან ქარხნისაკენ პირდაპირი მიმართულებით არც ავტობუსები მოძრაობენ, ამას ისიც ემატება, რომ № 4 მარშრუტზე, რომელიც გორის ქუჩიდან ქარხნამდე გრძელდება, ტროლეიბუსის ისედაც ძველი ვაგონები საკმაო არ არის. ყველაფერი ეს აუარესებს მგზავრთა მომსახურებას.

მუშათა დაბის მცხოვრებთ სხვა რამეცა აქვთ სასაყვედურო. იმის გამო, რომ ცენტრალური გათბობის სისტემის დროულად და ჯეროვნად შეკეთებას ყურადღება არ ექცევა, ზოგიერთი ბინა საკმაოდ არ თბება ან სრულიად არ თბება.

გასულ წელს დაბის ტერიტორიაზე აშენდა საშუალო სკოლის ახალი დიდი შენობა. მაგრამ დღემდე არაფერი ეშველა სკოლასთან მისასვლელი გზის შეკეთებასა და მოწყობას. ბავშვებს ამის გამო ტალახში უხდებათ სიარული.

ავტომშენებლები ამ ნაკლოვანებების დროულად გამოსწორებას მოითხოვენ.

გ. კობაძიძე,

ვინ ჩაუმწარათ სიხარული?

ამ სათაურით „კომუნისტში“ დაიბეჭდა გაზეთის რედის მასალები, რომლებშიც მხილებული იყო ქალაქ თბილისის მესამე მასივის მოსახლეობის კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურების საქმეში არსებული ნაკლოვანებანი.

როგორც მთავართბილისმშენიდან რედაქციას აცნობეს, წერილში დასახელებული ფაქტი საბავშვო ბაღის მშენებლობის გაჭიანურების შესახებ **სინამდვილეს შეეფერება.** დღეისათვის საბავშვო ბაღის მშენებლობა ძირითადად დამთავრდა.

წერილის „ვინ ჩაუმწარათ სიხარული?“ ის ნაწილი, — გვაცნობა თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის ვაჭრობის სამმართველოს უფროსმა **ნ. ბიგილეიშვილმა,** — რომელიც მესამე მასივის მოსახლეობის სავაჭრო მომსახურების საქმეში არსებულ ნაკლოვანებებს ეხება, **სავსებით სწორია.**

საქალაქო საბჭოს აღმასკომის ვაჭრობის სამმართველომ დასახა კონკრეტული ღონისძიებანი.

აღნიშნულ წერილთან დაკავშირებით თბილისოოთვაჭრობის დირექტორი **ი. ნიბლაძე** გვაცნობებს, რომ მესამე მასივში კოოთვაჭრობის მაღაზიის ფილიალის გამყიდველს **ვ. ბეშრაძეს** გამოეცხადა სასტიკი საყვედური სანიტარული წესების დაუცველობისათვის. აღნიშნული ფილიალის საჭირო პროდუქტებით მოუმარაგებლობისათვის მითითება მიეცა მაღაზიის დირექტორს **დ. ლორთქიფანიძესა** და სექციის გამგეს **ვ. არაძელიას.**

როგორც თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის კულტურისა და კინოფიკაციის განყოფილების გამგის მოადგილე **რ. სისორიძა** გვაცნობებს, მესამე მასივში კინოთეატრის ასაშენებლად გამოყოფილია მიწის ნაკვეთი.

ეროვნული ერთიანობა — ბიბლიოთეკა — ეროვნული შეხვედრა — არჩევნებს

ვალეს კოლმეურნეობა ერთ-ერთი ძლიერი სასოფლო-სამეურნეო არტელია მესხეთში. ვალელებმა სასახელო მაჩვენებლებით აღნიშნეს გასული წელი. საშუალოდ ჰექტარზე გეგმით გათვალისწინებული 17 ცენტნერის ნაცვლად 22,5 ცენტნერი მარცვალეული მიიღეს, რითაც ყველას გაუსწრეს ახალციხის რაიონში. ამ მაჩვენებლისათვის ვალეს კოლმეურნეობას საზეიმოდ გადაეცა მარცვლეული კულტურების მოსავლიანობის დარგში საქართველოს კპ ახალციხის საწარმოო სამმართველოს პარტიული კომიტეტისა და ახალციხის საწარმოო სამმართველოს გარდამავალი წითელი დროშა.

სამი გარდამავალი დროშა

ამავე კოლმეურნეობამ დაიმსახურა კარტოფილის თესვის, მოსავლიანობისა და 1962 წელს მრავალწლიანი ნარგავების გაშენების დარგში დაწესებული გარდამავალი წითელი დროშები. (ს.ა.კ. კორ.).

უნაყოფო ხარჯები

ჭიათურაში დიმიტროვის სახელობის მაღარო ერთ-ერთი მოზრდილი საწარმოა. აქ სამასამდე კაცი მუშაობს სოფელ სარეკიდან და ბაჯითიდან. ამ სოფლებს მაღაროდან ჯრუჭულის ხეობა ჰყოფს. მაღაროელებს ფეხით უხდებათ ხუთი-ექვსი კილომეტრი აღმართი გზების გავლა.

მაღაროელთა მოთხოვნით როგორც იქნა გადაწყდა სახალხო საბაგირო გზის მშენებლობა, რომელიც დარკვეთისა და სარეკის ზეგნებს შეაერთებდა.

აღარაფერს ვამბობთ, რომ მშენებლობა სამ წელს გაჭიანურდა. წელს სახალხო-საბაგირო გზა როგორც იქნა დამთავრდა და ჩვენს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. მ

ეს აღელვებს კაცობრიობას

მშვიდობის მსოფლიო საბჭოს პრეზიდიუმის სხდომის დოკუმენტები

მალმე, 4 მარტი, (საკდესი). მშვიდობის მსოფლიო' საბჭოს პრეზიდიუმმა, რომლის სხდომები ამა წლის 2-3 მარტს გაიმართა შვეიცარის ქალაქ მალმეში, მიიღო მთელი რიგი დოკუმენტები, მათ შორის მიმართვა ევროპის ხალხებისადმი, მიმართვა განიარაღებისა და მშვიდობის საგაზაფხულო კამპანიის მოწყობის შესახებ, რეზოლუცია ატომური იარაღის გამოცდის შეწყვეტის შესახებ.

„ევროპის ხალხებმა, — ნათქვამია მიმართვაში ევროპის ხალხებისადმი, — უნდა გაიგონ, რომ თერმოატომური ომის საფრთხე ახლა უფრო სერიოზულია, ვიდრე ოდესმე წინათ. დე გოლისა და ადენაუერის სამხედრო კავშირი, ნატოს მრავალმხრივი ატომური ძალების შექმნა, უცხოელთა ატომური ბაზები ევროპის რაიონში და „პოლარისის“ რაკეტებით შეიარაღებული წყალქვეშა ნავები და წყალზედა ხომალდები ჩრდილოეთის ზღვაში, ატლანტის ოკეანესა და ხმელთაშუა ზღვაში აძლიერებენ ამ საფრთხეს.

ამ ვითარებაში, აღწერშნულია მიმართვაში, ყველა ხალხმა განსაკუთრებით ენერგიულად უნდა იბრძოლოს იმისათვის, რომ მათმა მთავრობებმა მიიღონ შემდეგი მოთხოვნები:

„შეიქმნას ევროპის ცენტრში ვრცელი ზონა, რომელშიც არ იქნება ატომური იარაღი, შეიარაღება კი შეიზღუდება.

მოისპოს უცხოელთა ყველა ატომური ბაზა ევროპის რაიონში.

დაიდოს საერთაშორისო ხელშეკრულება ყველა იმ პრობლემის მოსაწესრიგებლად, რომლებიც მეორე მსოფლიო ომმა დაუტოვა ევროპას.

ყველა ქვეყანამ ცნოს, რომ არსებობს ორი გერმანული სახელმწიფო, და მათი ახლანდელი საზღვრები.

ისე გადაიჭრას დასავლეთ ბერლინის პრობლემა, რომ ეს ქალაქი აღარ იყოს ცივი ომის ცენტრი, უზრუნველყოფილ იქნეს მის მოქალაქეთა ინტერესები და უფლებანი, მისი შეუზღუდავი კავშირურთიერთობა ყველა სხვა ქვეყანასთან.

ამ წინადადებებს, ხაზგასმულია მიმართვაში, საარსებოდ დიდი მნიშვნელობა აქვთ ევროპის ყველა ქვეყნისათვის. საფრთხე დღითი დღე ძლიერდება. ხალხებმა უნდა იმოქმედონ, რათა იხსნან ევროპა და კაცობრიობა“.

მიმართვაში განიარაღებისა და მშვიდობის საგაზაფხულო კამპანიის მოწყობის შესახებ მშვიდობის მსოფლიო საბჭო მიმართავს „მშვიდობისათვის მებრძოლ ყველა მშვიდობასმოყვარე კაცსა და ქალს, ყველა მოძრაობასა და ორგანიზაციას“, და მოუწოდებს მომავალ თვეებში მოაწყონ ერთსა და იმავე დროს მსოფლიოს ყველა ქვეყანაში მშვიდობის დაცვისათვის მოქმედების ფართო კამპანია“.

მშვიდობის მსოფლიო საბჭოს პრეზიდიუმი შეეხო მოვლენათა საშიშ განვითარებას ევროპაში და ხაზგასმით აღნიშნა, რომ „იგი ეწინააღმდეგება ხალხთა ნებას. კაცობრიობას სურს შეწყდეს ატომური კოშმარი. მას სურს მშვიდობიანი თანაარსებობა და შეიარაღების ხარჯების შეწყვეტა... მაგრამ მშვიდობას ლოდინის გზით ვერ მივაღწევთ; იგი მოითხოვს მოქმედებას ხალხთა ნების დასამკვიდრებლად, ყველას მოქმედებას“.

„მშვიდობის მსოფლიო საბჭომ და მშვიდობისათვის მებრძოლმა ბევრმა სხვა ორგანიზაციამ, — ნათქვამია დასასრულ მიმართვაში, — შეადგინეს გეგმები, რომ მომავალ თვეებში მოეწყოს ლონდონის სხვადასხვა ბრძოლა, ბეჭდვა, ბანერები, დემონსტრაციები, პეტიციების შეტანა და სხვა გვარი საქმიანობა მშვიდობისათვის ბრძოლის ყველა პუნქტში.

საქმე ის არის, რომ ჩვენ გაერთიანდეთ ახალი დემოკრატიული და სოციალისტური საფრანგეთის აშენებისათვის. კომუნისტებს არა აქვთ სხვა მისწრაფება, გარდა იმისა, რომ პატიოსნად ემსახურონ ერთობის ამ წმიდათა წმიდა საქმეს ჩვენს ქვეყანაში პროგრესის, დემოკრატიისა და მშვიდობის უახლოეს ხანში გამარჯვების ინტერესებისათვის“.

მეგოგროგის შეკრება

სოფია, 4 მარტი. (საკდესი). გუშინ, თურქეთის მონოგბისაგან ბულგარეთის განთავისუფლების 85-ე წლისთავის დღეს სტარა-პლანინის მთებში სტოლეტოვის ისტორიულ მწვერვალზე, სადაც რუსი მეომრები და ბულგარელი მოლაშქრენი თურქთა წინააღმდეგ იბრძოდნენ, გაიმართა ბულგარეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის შეკრება. შეკრებაში მონაწილეობა მიიღეს მახლობელი დასახლებული პუნქტების ორიათასზე მეტმა მშრომელმა, ბულგარეთის სახალხო არმიის ნაწილებმა და ტურისტთა ჯგუფებმა, რომლებმაც ტურისტული ლაშქრობა მოაწყეს განმათავისუფლებელი ჯარების ბრძოლების ადგილებში.

როგორც ბულგარეთის დეპეშათა სააგენტო იუწყება, შეკრების მონაწილეებმა მისასალმებელი დეპეშები გაუგზავნეს სკკპ ცენტრალურ კომიტეტს და ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს.

მეგობრობა საფრანგეთის მშრომელთა ერთობა

პარიზი, 4 მარტი. (საკდესი). საფრანგეთის კომპარტიის გენერალურმა მდივანმა მორის ტორეზმა დაგმო დე გოლის რეჟიმის საშინაო და საგარეო პოლიტიკა. მორის ტორეზმა, რომელიც ქ. სეტში (როს დეპარტამენტი) მიტინგზე გამოვიდა, ამ პოლიტიკას „ავანტიურისტული და საფრანგეთისა და მშვიდობის საქმისათვის საშიშროებით აღსავსე“ უწოდა.

როცა მუშები გაფიცვას მიმართავენ, თქვა მან, მთავრობა უკანონოდ, ძალით აბრუნებს მათ სამუშაოზე. მთავრობა ნიღაბს იხდის და თავის ნამდვილ არსს ამჟღავნებს. საფრთხე მოელის მთელ მუშათა კლასს, ყველა რესპუბლიკელს. მთავრობას თავის ნებაზე ჰყავს მიშვებული ფაშისტები და მხოლოდ მშრომელთა, დემოკრატთა მიმართ იჩენს სიმკაცრეს.

მორის ტორეზმა აღნიშნა, რომ მთავრობის დამღუპველი პოლიტიკის შედეგების წინააღმდეგ ბრძოლაში მჭიდროდ ერაზმება ყველა მშრომელი, ყველა რესპუბლიკელი, და თქვა:

„სოციალისტები, კომუნისტები, რესპუბლიკელები, პროფკავშირულ გაერთიანებათა — შრომის საყოველთაო კონფედერაციის, „ფორს უვრიერის“ თუ „საფრანგეთის ქრისტიან მშრომელთა კონფედერაციის“ წევრები — ფაქტიურად ეთანხმებიან ერთმანეთს საერთო პროგრამის ყველა პუნქტში.

საქმე ის არის, რომ ჩვენ გაერთიანდეთ ახალი დემოკრატიული და სოციალისტური საფრანგეთის აშენებისათვის. კომუნისტებს არა აქვთ სხვა მისწრაფება, გარდა იმისა, რომ პატიოსნად ემსახურონ ერთობის ამ წმიდათა წმიდა საქმეს ჩვენს ქვეყანაში პროგრესის, დემოკრატიისა და მშვიდობის უახლოეს ხანში გამარჯვების ინტერესებისათვის“.

ᲙᲠᲐᲛᲬᲔᲚᲔᲑᲘ ᲜᲘᲚᲝᲡᲗᲐᲜ

პატივცემულო რედაქტორო!

ნება მიბოძეთ „კომუნისტის“ საშუალებით, რომელსაც სხვა გაზეთებთან ერთად ვიღებ აფრიკის კონტინენტზე, რამდენადმე მოგვიანებით 1963 წელი მივუღოცო თქვენი გაზეთის მკითხველებს და ვუსურვო მათ ჯანმრთელობა, დღეგრძელობა, გამარჯვება ჩვენი დიდი სამშობლოს საკეთილდღეოდ.

სასიამოვნოა, როცა გაზეთის სტრიქონებს აქ, ჩვენამდის მოაქვთ მეტად გასახარი ამბები. ჩვენ „კომუნისტის“ საშუალებით გავიგეთ, რომ უკვე მწყობრში ჩამდგარა ხრამჰესის მეორე რიგი. მის მშენებლობაში მეც მომიღია მონაწილეობა, და განა მარტო მე! აქ, ასუანის მაღალი კაშხლის მშენებლობაზე შეხვდებით ყოფილ ხრამჰესელებს: მეპეტონე ა. ნემსიწვერიძეს, მექანიკოს ნ. ტიუჩენკოს, ინჟინერებს ზ. კუნიანიძეს, თ. თოდუას და თ. რუხუას, რომლებიც ღღეს დიდი ენთუზიაზმით ეკიდებიან თავიანთ საქმეს ეგვიპტეში.

იანვარში შესრულდა სამი წელი, რაც დაიწყო მსოფლიოში უდიდესი ნაგებობის — ასუანის მაღალი კაშხალის მშენებლობა. ამ ხნის მანძილზე საბჭოთა სპეციალისტების თავდადებული შრომით შესრულებულია დიდძალი მოცულობის სამუშაოები.

ასუანის მშენებელთა შორის შეხვდებით საბჭოთა კავშირის ყველა კუთხიდან ჩამოსულ სპეციალისტებს, რომლებმაც არაერთხელ ასახელეს თავიანთი უანგარო შრომით ჩვენი სამშობლო და გახდნენ ქების ღირსნი. მათ შორის არიან ინჟინერი, ორგზის სოციალისტური შრომის გმირი ა. ალექსანდროვი, მეპეტონე, სოციალისტური შრომის გმირი ი. დემენკო და სხვა მრავალი, რომელთა ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა.

ჩვენი გაზეთების ფურცლებზე ხშირად იბეჭდება მასალები ასუანის უნიკალური კაშხალის მშენებლობის მიმდინარეობის შესახებ. ეს გიგანტური მშენებლობა წარმოდგენილია — შენებლობის მისამი წლისთავთან დაკავშირებით გაზეთ „ეგვიპტეში“ — ასევე შეფასება მისცა საბჭოთა სპეციალისტების თავდადებულ შრომას, მადლობა გადაუხადა ყველა საბჭოთა სპეციალისტს, რომლებმაც რთულ კლიმატურ პირობებში თავიანთი ანგარიანი შრომით ისახელეს თავი ამ უნიკალურ მშენებლობაზე.

დადგება დრო, მდინარე იცვლის თავის მიმართულებას. ჩვენი მშენებლები ჩაყენებენ მას ხალხის სამსახურში.

ა. ჯინჯველაშვილი,
ასუანის მაღალი კაშხალის მშენებლობის გვირაბების სამმართველოს მთავარი გეოლოგი.

ქ. ასუანი, 1963 წლის 22 იანვარი.

• • •

სურათზე: მდინარე ნილოსის მარჯვენა ნაპირი. ქვედა ლია არხის დამუშავების პროცესი.



დიდი ბრიტანეთის კომპარტიის განცხადება

ლონდონი, 4 მარტი. (საკდესი). დიდი ბრიტანეთის კომუნისტური პარტიის პოლიტიკურმა კომიტეტმა გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიც შეშფოთებას გამოთქვამს ადგილობრივი გადასახადების მკვეთრი გადიდების გამო.

ადგილობრივი გადასახადების გადიდება, ნახს ესამს პოლიტიკური კომიტეტი, მთავრობის პოლიტიკის პირდაპირი შედეგია, რომელმაც სუბსიდიები შეუმცირა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს. ეს პოლიტიკა მიმართულია მუშათა კლასისა და საშუალო ბურჟუაზიის წინააღმდეგ, რომლებიც ადგილობრივი გადასახადების დასაფარავად ხარჯავენ თავიანთი შემოსავლის მეტ ნაწილს, ვიდრე მდიდრები. ეს განსაკუთრებით ძნელია პენსიონერებისა და მცირეხელფასიანი მუშებისათვის.

მთავრობამ, აღნიშნულია შემდეგ განცხადებაში, უნდა გაუდიდოს სუბსიდიები ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს განთლების, ჯანმრთელობის დაცვისა და სხვა საჭიროებისათვის.

კომპარტია მოითხოვს, რომ მთავრობამ შემოიღოს ისეთი სისტემა, რომლის შესაბამისად მრეწველნი, ბიზნესმენები და მდიდართა ოჯახები უფრო მეტს გადაიხდიან ადგილობრივი საჭიროების ხარჯების დასაფარავად.

მოთხოვნებს მხარი დაუჭირეს გაფიცვით

ვენა. ავსტრიაში გამწვავდა კონფლიქტი მუშებსა და რძის პროდუქტების საწარმოთა კერძო მესაკუთრეებს შორის. ავსტრიის მთელ რიგ საწარმოთა მუშებმა უარი თქვეს ღამის მუშაობაზე, ვინაიდან კერძო მესაკუთრეები არ აკმაყოფილებენ მათ მოთხოვნას დამატებით აუნაზღაურონ ღამის შრომა.

ფრანკო შველის ოას-ელებს

ნიუ-იორკი, 5 მარტი. (საკდესი). ფაშისტური ორგანიზაციის ოას-ის მეთაურები პოლკოვნიკი გარდი და სარიენი, რომლებიც ესპანეთის ხელისუფლებამ ამას წინათ გაათავისუფლეს პატიმრობიდან, ბუენოს-აირესს ჩავიდნენ, იუწყება ასოშიეიტედ პრესის საგენტო. მათ პოლიტიკური თავშესაფარი სთხოვეს არგენტინის ხელისუფლებს.

გარდი და სარიენი, რომლებიც საფრანგეთის ხელისუფალთა მხრივ დევნას გაურბიან, თავის დროზე გაიქცნენ ალჟირიდან ესპანეთში.

ᲓᲐᲒᲠᲘᲛᲝᲜᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲗᲐ ᲨᲔᲠᲘᲡ ᲓᲐᲜᲐᲨᲐᲣᲚᲘ

ᲥᲐᲚᲐᲥᲘ ᲜᲐᲜᲒᲠᲔᲕᲔᲑᲐᲓ

ბრიგოლი, 5 მარტი. (საკდესი). ლიგბინის უძველესი ქალაქის ბარკის რაიონში, რომელიც მიწისძვრამ დაანგრია 21 თებერვალს, კვლავ იგრძნობა მიწისძვრა ბიგგები. გუშინ მოხდა კიდევ ერთი სერიოზული ბიგი. რხევის შედეგად, რაც კვლავ გრძელდება, ბარკის ნახევრადდანგრეული შენოგბები სრულიად დაინგრა.

ამჟამად ბარკის რაიონში წარმოებს გეოლოგიური კვლევა.

ᲣᲡᲘᲮᲐᲠᲣᲚᲝ ᲞᲔᲠᲡᲞᲔᲥᲢᲘᲕᲔᲑᲘ

ნიუ-იორკი, 4 მარტი. (საკდესი). „ამერიკის ეკონომიკა, რომელმაც სათვალავით მეოთხე ომისშემდგომი დაქვეითების შემდეგ ორი წელი მოანძარა მოღონიერებას, ახლა ერთ ადგილს. ტკეპნის, — ნათქვამია ა. გლასის სტატიაში, რომელიც გაზეთ „ნიუ-იორკ ჰერალდ ტრიბუნის“ პრეს-სამსახურმა გავრცელა.

საქმიან სამყაროში გაურკვეველობა კვლავ მთავარი თემაა. ზამთრის დაშლილ ამერიკელი მომხმარებელი წინდახედული გახდა, ხოლო კორპორაციები, რომლებიც პროდუქციას უშვებენ მომხმარებლის არსებობისათვის, კვლავ ზომიერებას იჩენენ საქონლის მარაგის დაგროვებასა და კაპიტალდაბანდებაში.

კენედის მთავრობა შიშობს, რომ ორ ქლის დაწნევა ეკონომიურ ქვაბში შეიძლება უკანასკნელ ხაზებამდე დაეცეს, და ცდილობს გაორკეცებული ენერგიით მიაღწიოს, რომ კონგრესმა მნიშვნელოვნად შეამციროს გადასახადები, სანამ გვიან არ არის“.

მაგრამ, გლასის სტატიით, „მთავრობის ეკონომისტთა“ განსაკუთრებულ შეშფოთებას იწვევს უმუშევრობის პრობლემა. კორესპონდენტი წერს, რომ „ამერიკელი უმუშევრები შეადგენენ ახლა მთელი მუშახელის 5,8 პროცენტს“.

„თუ გავითვალისწინებთ მოსახლეობის ზრდას, — ხაზგასმით აღნიშნავს გლასი, — ასეთი ტენდენციები ნიშნავს, რომ მომავალ ათწლეულში შეერთებულ შტატებს დასჭირდებათ 41 მილიონი ახალი სამუშაო ადგილი მხოლოდ იმისათვის, რომ არ დაუშვას უმუშევრობის ზრდა“.

თითქმის არავის ეშველ არ იწვევს, რომ ეს მეტად ძნელი ამოცანაა ამერიკის შეერთებული შტატებისათვის.

ᲛᲔᲠᲩᲔᲜᲢᲘᲡ ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲛᲘᲡᲘᲐ

რომი, 4 მარტი. (საკდესი). დღეს რომში დაიწყო ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის სპეციალური დესპანის მერჩენტის მოლაპარაკება იტალიის ხელმძღვანელებთან. მერჩენტი რიგრიგობით შეხვდა იტალიის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ა. ფანფანის, საგარეო საქმეთა მინისტრს ა. პიჩონისა და თავდაცვის მინისტრს ჯ. ანდრეოტის.

ამ შეხვედრების მსვლელობაში განიხილეს მთელი რიგი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ამერიკის მთავრობის იმ გეგმების განხორციელებასთან, რომ შეიქმნას ეგრეთწოდებული „ნატოს მრავალმხრივი ატომური ძალები“. იტალიის მთავრობის ხელმძღვანელებთან მერჩენტის მოლაპარაკების კონკრეტულ შედეგებს საიდუმლოდ ინახავენ, კეთილდღე, ითვალისწინებენ, რომ ამჟამად იტალიაში გაიმართა წინასაარჩევნო კამპანია პარლამენტის მომავალ არჩევნებთან დაკავშირებით.

მაგრამ ადგილობრივ პოლიტიკურ მიმოხილველებს ერთსულოვნად მიაჩნიათ, რომ ამ მოლაპარაკების შედეგი უკვე წინასწარ გადაწყვიტა იტალიის თანხმობამ — მიიღოს ამერიკის წინადადებანი, რაც ფანფანიმ საჯაროდ განაცხადა შეერთებულ შტატებში ამასწინანდელი მოგზაურობის დროს.

ᲒᲐᲓᲐᲪᲐᲥᲪᲘᲝᲗᲓ 1963 ᲬᲚᲘᲡ ᲒᲐᲖᲐᲤᲮᲣᲚᲘ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲣᲚᲘ ᲨᲔᲛᲝᲒᲠᲣᲜᲔᲑᲘᲡ ᲞᲣᲜᲥᲢᲐᲓ ᲛᲨᲕᲘᲓᲝᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲑᲠᲫᲝᲚᲐᲨᲘ!

ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲝᲑᲐᲡ ᲨᲔᲣᲫᲚᲘᲐ ᲘᲮᲡᲜᲐᲡ ᲛᲨᲕᲘᲓᲝᲑᲐ

ნიუ-იორკი, 4 მარტი. საკდესის კორესპონდენტი ლ. ვალიჩანსი იუწყება:

ამერიკა-საბჭოთა კავშირის მეგობრობის ეროვნულმა საბჭომ გუშინ აღნიშნა თავისი დაარსების ოცი წლისთავი. დღისით ნიუ-იორკის სასტუმრო „ბენჰოლენ პლაზაში“ მიმდინარეობდა ამ თარიღისადმი მიძღვნილი კონფერენცია, საღამოს კი იმავე სასტუმროს „კრისტალურ დარბაზში“ გაიმართა დიდი ბანკეტი. ბანკეტის ყოველ მონაწილეს წინ ედო ბროშურა, რომლის ყდაზე ეწერა: „მეგობრობას შეუძლია იხსნას მშვიდობა“. და ამ აზრით იყო გამსჭვალული ყველა გამოსვლა კონფერენციასა და ბანკეტზე.

კონფერენციის პირველი სხდომა მიეძღვნა თემას: „საბჭოთა კავშირის უკეთ გაგებისათვის“. პიტსბურგის უნივერსიტეტის პროფესორმა უილიამ ჯონსონმა, რომელიც არაერთხელ ყოფილა საბჭოთა კავშირში, თავისი გამოსვლა მიუძღვნა საბჭოთა სახალხო განთლების სისტემას.

კონფერენციის მეორე ნაწილი მიეძღვნა თემას“ — ამერიკა-საბჭოთა კავშირის ურთიერთობა და მშვიდობა“.

ჟურნალ „მაინორიტი ოფ უანის“ რედაქტორმა მ. ს. არნონიმ და ჟურნალისტმა ო. გარდისმა თქვეს, რომ საჭიროა გაიფანტოს ის სიცრუე, რომელსაც მშვიდობის მტრები აფრცელებენ საბჭოთა კავშირის შესახებ,

საღამოს გაიმართა ბანკეტი, რომელსაც დაესწრნენ ამერიკა-საბჭოთა კავშირის მეგობრობის ეროვნული საბჭოს წევრები და დაახლოებით 300 სტუმარი, საპატიო სტუმართა შორის იყვნენ: საბჭოთა კავშირის ელჩი ამერიკის შეერთებულ შტატებში ა. თ. დობრინინი, სსრ კავშირის მეგმივი წარმომადგენელი გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ნ. ტ. ფედორენკო, ქ-ნი იტონი. შეასრულეს შეერთებული შტატებისა და საბჭოთა კავშირის ჰიმნები.

ბანკეტზე სიტყვა წარმოთქვა სსრ კავშირის ელჩმა ამერიკის შეერთებულ შტატებში ა. თ. დობრინინმა, რომელმაც ხაზგასმით აღნიშნა, რომ სხვადასხვა სოციალური სისტემის სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობა უდავო აუცილებლობა გახდა. დღეს, თქვა მან, თქვენ ერთხელ კიდევ დაადასტურეთ, რომ ჩვენს ხალხებს შორის შესაძლებელია არა მარტო თანაარსებობა, არამედ ნამდვილი მეგობრობაც. შემდეგ საბჭოთა ელჩმა წაიკითხა საბჭოთა მთავრობის მეთაურის ნ. ს. ხრუშჩოვის მისასალმებელი დეპეშა ამერიკა-საბჭოთა კავშირის მეგობრობის ეროვნული საბჭოსადმი.

ყველა დამსწრე ფეხზე წამოდგა და ისე მოისმინა დეპეშის ტექსტი. ისანი მქუხარე ტაშით შეხვდნენ ნ. ს. ხრუშჩოვის წერილს.

ეროვნული საბჭოს სახელზე მოვიდა აგრეთვე დეპეშები, რომლებიც გამოგზავნეს ამერიკა-საბჭოთა კავშირის მეგობრობის ადგილობრივმა საბჭოებმა, მძღვარობამ „ქალებო, იბრძოლეთ მშვიდობისათვის“, საბჭოთა მეგობრებმა.

ᲛᲔᲮᲕᲔᲓᲠᲔᲑᲘ ᲘᲢᲐᲚᲘᲐᲨᲘ

რომი, 5 მარტი. (საკდესი). აი უკვე ერთი კვირაა იტალიაში იმყოფება „სსრ კავშირ-იტალიის“ საზოგადოების ვიცე-პრეზიდენტი, გაზეთ „იზვესტიის“ მთავარი რედაქტორი ა. ი. აჯუბეი, რომელიც მეუღლითურთ ჩამოვიდა აქ იტალია-საბჭოთა კავშირის კულტურული ურთიერთობის საზოგადოების მოწვევით.

ა. ი. აჯუბეის რამდენიმე შეხვედრა ჰქონდა „იტალია-სსრ კავშირის“ საზოგადოების ხელმძღვანელებთან.

ბევრი ხალხი დაესწრო იტალიის დედაქალაქის საზოგადოებრიობის წარმომადგენლებთან შეხვედრას, რომელიც გაიმართა რომის „ელიზეოს“ თეატრში. შეკრებილთა თხოვნით ა. ი. აჯუბეიმ ილაპარაკა საბჭოთა კავშირის მშვიდობისმოყვარულ საგარეო პოლიტიკაზე, შემდეგ კი უპასუხა ბევრ კითხვაზე. ასეთივე შეხვედრები გაიმართა სხვა ქალაქებშიც — ფლორენციასა და ნეაპოლში.

„იზვესტიის“ მთავარმა რედაქტორმა ინტერვიუ მისცა იტალიისა და ამერიკის ტელევიზიას, აგრეთვე რომის გავლენიან ყოველკვირეულს „ესპრესოს“.

როცა საბჭოთა სტუმრები ფლორენციაში იყვნენ, ახინი მიიღო ამ ქალაქის მერმა, ცნობილმა საზოგადო მოღვაწე-კათოლიკემ ჯორჯო ლა პირამ. მან საუბარში მონაწილეობა მიიღო სსრ კავშირის ელჩმა იტალიაში ს. პ. კოზირევმა,

ᲙᲠᲔᲘᲡᲙᲘᲡ ᲘᲜᲢᲔᲠᲕᲘᲣ

ბონი, 4 მარტი. (საკდესი). ავსტრიის საგარეო საქმეთა მინისტრმა ბრუნო კრეისკიმ იტერვიუში დასავლეთ გერმანიის გაზეთ „ვესტფელიშე რუნდშაუსადმი“ უარყო პრესაში გავრცელებული ხმები, რომ ავსტრია აპირებს გაეიდეს ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაციიდან. კრეისკიმ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაციის მონაწილე ქვეყნების წარმომადგენელთა თათბირზე, რომელიც ამ ცოტა ხნის წინათ გაიმართა ჟენევაში, ავსტრიის დელეგაციამ გასაცვადა, რომ „ავსტრია ყოველთვის ისწრაფვის ზუსტად დაიცვას თავისი ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებანი. ეს, რა თქმა უნდა, ეხება ხელშეკრულებასაც ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაციის შესახებ“.

მაგრამ, ამასთანავე უგულებელყო რა ის ფაქტი, რომ ავსტრიის მონაწილეობა „საერთო ბაზარში“ ეწინააღმდეგება სახელმწიფო ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს ნეიტრალიტეტის შესახებ, კრეისკიმ განაცხადა, რომ ავსტრია „არავითარ შემთბვევაში“ არ აპირებს უარი თქვას ევროპის ეკონომიურ გაერთიანებასთან შეთანხმებაზე.

ᲣᲡᲘᲮᲐᲠᲣᲚᲝ ᲞᲔᲠᲡᲞᲔᲥᲢᲘᲕᲔᲑᲘ

ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲝᲑᲐᲡ ᲨᲔᲣᲫᲚᲘᲐ ᲘᲮᲡᲜᲐᲡ ᲛᲨᲕᲘᲓᲝᲑᲐ

ნიუ-იორკი, 4 მარტი. საკდესის კორესპონდენტი ლ. ვალიჩანსი იუწყება:

ამერიკა-საბჭოთა კავშირის მეგობრობის ეროვნულმა საბჭომ გუშინ აღნიშნა თავისი დაარსების ოცი წლისთავი. დღისით ნიუ-იორკის სასტუმრო „ბენჰოლენ პლაზაში“ მიმდინარეობდა ამ თარიღისადმი მიძღვნილი კონფერენცია, საღამოს კი იმავე სასტუმროს „კრისტალურ დარბაზში“ გაიმართა დიდი ბანკეტი. ბანკეტის ყოველ მონაწილეს წინ ედო ბროშურა, რომლის ყდაზე ეწერა: „მეგობრობას შეუძლია იხსნას მშვიდობა“. და ამ აზრით იყო გამსჭვალული ყველა გამოსვლა კონფერენციასა და ბანკეტზე.

კონფერენციის პირველი სხდომა მიეძღვნა თემას: „საბჭოთა კავშირის უკეთ გაგებისათვის“. პიტსბურგის უნივერსიტეტის პროფესორმა უილიამ ჯონსონმა, რომელიც არაერთხელ ყოფილა საბჭოთა კავშირში, თავისი გამოსვლა მიუძღვნა საბჭოთა სახალხო განთლების სისტემას.

კონფერენციის მეორე ნაწილი მიეძღვნა თემას“ — ამერიკა-საბჭოთა კავშირის ურთიერთობა და მშვიდობა“.

ჟურნალ „მაინორიტი ოფ უანის“ რედაქტორმა მ. ს. არნონიმ და ჟურნალისტმა ო. გარდისმა თქვეს, რომ საჭიროა გაიფანტოს ის სიცრუე, რომელსაც მშვიდობის მტრები აფრცელებენ საბჭოთა კავშირის შესახებ,

საღამოს გაიმართა ბანკეტი, რომელსაც დაესწრნენ ამერიკა-საბჭოთა კავშირის მეგობრობის ეროვნული საბჭოს წევრები და დაახლოებით 300 სტუმარი, საპატიო სტუმართა შორის იყვნენ: საბჭოთა კავშირის ელჩი ამერიკის შეერთებულ შტატებში ა. თ. დობრინინი, სსრ კავშირის მეგმივი წარმომადგენელი გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ნ. ტ. ფედორენკო, ქ-ნი იტონი. შეასრულეს შეერთებული შტატებისა და საბჭოთა კავშირის ჰიმნები.

ბანკეტზე სიტყვა წარმოთქვა სსრ კავშირის ელჩმა ამერიკის შეერთებულ შტატებში ა. თ. დობრინინმა, რომელმაც ხაზგასმით აღნიშნა, რომ სხვადასხვა სოციალური სისტემის სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობა უდავო აუცილებლობა გახდა. დღეს, თქვა მან, თქვენ

ᲛᲔᲮᲕᲔᲓᲠᲔᲑᲘ ᲘᲢᲐᲚᲘᲐᲨᲘ

„ეროვნული საბჭოს სახელზე მოვიდა აგრეთვე დეპეშები, რომლებიც გამოგზავნეს ამერიკა-საბჭოთა კავშირის მეგობრობის ადგილობრივმა საბჭოებმა, მძღვარობამ „ქალებო, იბრძოლეთ მშვიდობისათვის“, საბჭოთა მეგობრებმა.

ᲙᲠᲔᲛᲚᲘᲡ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲐ

ნიუ-იორკი, 5 მარტი. საკდესის კორესპონდენტი გ. ვასილიევი იტყობინება:

ამერიკელი ხელისუფლები აააქტიურებენ მოქმედებას, რათა კიდევ უფრო გააძლიერონ საბჭოთა კორესპონდენტების მუშაობა ამერიკის შეერთებულ შტატებში.

საბჭოთა ჟურნალისტების ჯგუფმა, რომელშიც შედიან მოსკოვის რადიოს კორესპონდენტი ალექსანდრე დრუჟინინი, გაზეთ „ტრუდის“ კორესპონდენტი გიორგი კუზნეცოვი და გაზეთ „სელსკაია ჟიზნის“ კორესპონდენტი ალბერტ ლაურენჩიუასი, განიზრახა მოგზაურობა ამერიკის სამხრეთ შტატებში. აქაური წესების შესაბამისად წინასწარ გაეგზავნა ნოტა ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტს.

სახელმწიფო დეპარტამენტის წესები ითვალისწინებენ, რომ მოგზაურობა, ნებადართულად ითვლება, თუ 48 სამუშაო საათის განმავლობაში ნებართვაზე უარს არ იტყვიან. უარი არავის უთქვამს და ჟურნალისტები გაფრინდნენ ნიუ-იორკიდან.

მაგრამ მოგზაურობის პირველსავე პუნქტში, ქალაქ ნიუ-ორლეანში (ლუიზიანის შტატი), საბჭოთა კორესპონდენტებთან გამოცხადდა უშიშროების ადგილობრივი სამსახურის აგენტი, რომელიც შეეცადა უფრო მკაფიოდ განემარტა, რომ ჟურნალისტების მოგზაურობა ამერიკის შეერთებული შტატების სამხრეთ ნაწილში აკრძალულია „დროებითი ხასიათის მიზეზების გამო“. კორესპონდენტები იძულებული გახდნენ დაბრუნებულიყვნენ.

„ᲪᲘᲕᲘ ᲝᲛᲘᲡ“ ᲡᲣᲚᲘᲡᲙᲕᲔᲗᲔᲑᲘᲗ

ბონი, 4 მარტი. (საკდესი). ავსტრიის საგარეო საქმეთა მინისტრმა ბრუნო კრეისკიმ იტერვიუში დასავლეთ გერმანიის გაზეთ „ვესტფელიშე რუნდშაუსადმი“ უარყო პრესაში გავრცელებული ხმები, რომ ავსტრია აპირებს გავიდეს ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაციიდან. კრეისკიმ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაციის მონაწილე ქვეყნების წარმომადგენელთა თათბირზე, რომელიც ამ ცოტა ხნის წინათ გაიმართა ჟენევაში, ავსტრიის დელეგაციამ გასაცვადა, რომ „ავსტრია ყოველთვის ისწრაფვის ზუსტად დაიცვას თავისი ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებანი. ეს, რა თქმა უნდა, ეხება ხელშეკრულებასაც ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაციის შესახებ“.

მაგრამ, ამასთანავე უგულებელყო რა ის ფაქტი, რომ ავსტრიის მონაწილეობა „საერთო ბაზარში“ ეწინააღმდეგება სახელმწიფო ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს ნეიტრალიტეტის შესახებ, კრეისკიმ განაცხადა, რომ ავსტრია „არავითარ შემთბვევაში“ არ აპირებს უარი თქვას ევროპის ეკონომიურ გაერთიანებასთან შეთანხმებაზე.

ᲛᲔᲠᲩᲔᲜᲢᲘᲡ ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲛᲘᲡᲘᲐ

რომი, 4 მარტი. (საკდესი). დღეს რომში დაიწყო ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის სპეციალური დესპანის მერჩენტის მოლაპარაკება იტალიის ხელმძღვანელებთან. მერჩენტი რიგრიგობით შეხვდა იტალიის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ა. ფანფანის, საგარეო საქმეთა მინისტრს ა. პიჩონისა და თავდაცვის მინისტრს ჯ. ანდრეოტს.

ამ შეხვედრების მსვლელობაში განიხილეს მთელი რიგი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ამერიკის მთავრობის იმ გეგმების განხორციელებასთან, რომ შეიქმნას ეგრეთწოდებული „ნატოს მრავალმხრივი ატომური ძალები“. იტალიის მთავრობის ხელმძღვანელებთან მერჩენტის მოლაპარაკების კონკრეტულ შედეგებს საიდუმლოდ ინახავენ, კეთილდღე, ითვალისწინებენ, რომ ამჟამად იტალიაში გაიმართა წინასაარჩევნო კამპანია

მხილების ძალა

ჰიათურის ა.კაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო თეატრმა თავის მორიგ პრემიერად მაყურებელს უჩვენა ახალგაზრდა დრამატურგის **გ. მარუაშვილის** სატირული კომედია **„საქმენი აჰიმეთური“**. პიესა თანამედროვეობის თემაზეა დაწერილი. მისი სატირის ცეცხლი მიმართულია გადაგვარებული ადამიანების — თვალთმაქცების, უსაქმურების, კომბინატორების, წამგლეჯების და კარიერისტების წინააღმდეგ. პიესაში თამამად არის მხილებული ის ნაკლოვანებები, რაც ჯერ კიდევ არ არის აღმოფხვრილი ჩვენს ყოფაში.

მაყურებელი სპექტაკლის დასაწყისშივე ეცნობა გაქნილი კომბინატორის, ტრესტის მმართველის იაკინთე კრეჭაძის ოჯახს, სადაც, უფროსის მოლოდინში, გამლილ სუფრას თავს დასტრიალებენ მოყიალე ახალგაზრდები ბაჭუჭი, ბუჭუში და ჭუჭა. მათ წარმატებით შეუსრულებიათ იაკინთეს საგანგებო დავალება: რევიზორისათვის პურ-მარილი მოამზადეს და ახლა მოუთმენლად ელიან ქეიფის დაწყებას.

განრისხებული უფროსის გამოჩენამ უსიტყვოდ ამცნო ყველას, რომ ამჯერად ვეღარ გასჭრა იაკინთეს ნაცადმა ხერხმა, ვერ მოხერხდა საერთო ენის გამონახვა „უთვისტომო“ რევიზორთან, რომელმაც მიაგნო დანაშაულს კვალს.

იაკინთე და მისი დამქაშები სისტემატურად ბერავდნენ გეგმების შესრულებას და ამ გზით ითვისებდნენ სახელმწიფო თანხებს. ახლა კი, როდესაც დანაშაულის გამოაშკარავების საშიშროება შეიქმნა, იაკინთე ცდილობს სოფელს შეაფაროს თავი და ტრესტის მმართველის თანამდებობიდან თავისი განცხადების საფუძველზე სოფელ აჰიმეთის კოლმეურნეობის თავმჯდომარედ მიდის.

მაყურებელზე ღრმა შთაბეჭდილებას ახდენს სატირული სცენა, სადაც ასახულია კოლმეურნეობის თავმჯდომარის იაკინთესა და ფერმის გამგის სვეასტის „მუშაობა“ საკოლმეურნეო ფერმის გამსხვილებაზე. სვეასტის წინადადებით გადაწყდა, რომ დროებით ინთოზოვრონ კოლმეურნეებიდან ძროხები, ღორები, გოჩები და ასე შევსებული ფერმა უჩვენონ რაიონიდან ჩამოსულ ხელმძღვანელ ამხანაგებს.

კოლმეურნეობის ყანებზე სარეველას გადაუფენია, ხოლო იაკინთე სპეციალურ ბრიგადას ქმნის გაფორმების დარგში, რომლის ხელმძღვანელობასაც მშრომელ კოლმეურნეს კოწიას ავალებს. ჯანღონით სავსე კოლმეურნეს ყანაში თოხით მუშაობა ურჩევია ყველაფერს, მაგრამ სვასტი არ ეშვება და ასეთი სიტყვებით ანუგეშებს: — „შე გლახა, ფანქარი მჩატე არ არის თოხზე?“.

გაფორმებული ბრიგადა, რომელშიც კოწიასთან ერთად უსაქმურები — ბაჭუჭი, ბუჭუში და ჭუჭა ჩარიცხეს — სამი დღე მუშაობდა იაკინთეს კაბინეტის სპეციალური ტიხრით გამოყოფაზე და ლოზუნგებით გაფორმებაზე. კაბინეტში შემთხვევით გაკრული ლოზუნგები მათ

ჰიათურის სახელმწიფო თეატრის ახალი დადგმა

ავტორთა სრულ უვიცობაზე ლაპარაკობენ. აი ისინი: „სირცხვილის გრძნობა ჯანმრთელობის მტერია“!, „ცივი შხაპი ცხელ გულზე მარგებელია!“.

გაქნილი კომბინატორი იაკინთე და მისი დამქაშები აჰიმეთშიაც აგრძელებენ ზემდგომი ორგანოების მოტყუებას გაბერილი ციფრებით, დღედაღამ ქეიფით გაჩანაგებამდე მიიყვანეს ფერმა და დანაშაულის კვალის დასაფარავად ყველაფერს მგლებს აბრალებენ. იაკინთეს განკარგულებით ახლა იმაზე მუშაობენ, რომ ცოცხალი მგელი დაიჭირონ, გალიაში ჩასვან და უფროსებს უჩვენონ მათი ამომგდები.

შეუძლებელია მაყურებელმა სიცილი შეიკავოს, როცა აჰიმეთელი უსაქმურის თარინეს აყრმოკრული ამბის საფუძველზე, იაკინთე და სვეასტი საგანგებო ღონისძიებას იღებენ „თავდასხმის“ თაციდან ასაცილებლად.

გ. მარუაშვილის პიესა „საქმენი აჰიმეთური“ ავტორის მიერ გააზრებულია, როგორც სატირული კომედია. კომპოზიციურად და მხატვრული ხასიათების განვითარების მიხედვით მასში დაცულია ამ ჟანრის დამახასიათებელი სპეციფიკა. პიესას აქვს კარგად დამუშავებული სიუჟეტი, მწყობრი, შეკრული კომპოზიცია, სათანადოდ გამოკვეთილი ძირითადი იდეა.

ცხოვრების სინამდვილე წარმოადგენს პიესის წყაროს. მასში ასახული ადამიანები, მათი ფიქრები, გრძნობები, ურთიერთდამოკიდებულება — ყველაფერი ეს ცხოვრებიდან არის აღებული.

სპექტაკლში ჩანს დამდგმელი რეჟისორის გ. სებისკვერაძის დაკვირვებული მუშაობა. კარგად მოფიქრებული და ზუსტად დამუშავებული მიზანსცენები ნათლად ლაპარაკობენ რეჟისორის ოსტატობაზე. მის შემოქმედებითს ფანტაზიასა და მხატვრულ გემოვნებაზე.

პიესასა და სპექტაკლში სატირის მახვილი პირველ რიგში მიმართულია იაკინთე კრეჭაძის წინააღმდეგ. აქტიორული შესრულების თვალსაზრისით იაკინთე მეტად საინტერესო მხატვრული სახეა. ამ როლ შესანიშნავად ასრულებს რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი მიხ. ვაშაძე.

მხატვრული დამაჯერებლობით განასახიერა და ფსიქოლოგიური სიღრმით გამოძერწა რესპუბლიკის სახალხო არტისტმა გრ. ტყაბლაძემ ცბიერი და მოხერხებული ფერმის გამგის სცენური სახე. მსახიობი საუკეთესოდ სარგებლობს

სურათზე: სცენა სპექტაკლიდან „საქმენი აჰიმეთური“. იაკინთე — მ. ვაშაძე (მარცხნივ) და სვეასტი — გრ. ტყაბლაძე.

მზე, თოვლი და ყვავილი

დადგა, გვეხეტუმრა ტკბილი გაზაფხული. მთაში სადღაც თოვს, მაგრამ ბარში საქართველოს მზემ მაინც ადრე ააციცინა ლურჯთვალა ია, გაშალა ენძელა. კვირტში ვეღარ ეტევა ნუში, ალუჩა, ტყემალი, ატამი...

ნაადრევი ყვავილობით აფერადდა ბაღები, ეზოები. გვხიბლავს, გვატყვევებს ჩვენი მამულის მშვენიერი ხეხილის თაიგულობა. მალე მწვანე ფოთლებით შეიმკობა კვირტაფეთქებული, უკვე აყვავებული, მსხმოიარე ტოტები.

ბევრგან უკვე ყვავილობაც დამთავრებულა და საამოდ იმზირება პირველი ნაყოფი — ქლიავი.

გაზაფხული ყველგან დამკვიდრდა და ფრთებს შლის მთელი თავისი ეშხით, იერით.

თბილისშიაც იგრძნო გაზაფხულის მოსვლა. მაგრამ მაინც თავისებურად ლამაზი იყო მარტის პირველი თოვლით შემკობილი დედაქალაქი გუშინ. მოვიდა ფიფქით, ფანტელი არ გაიმეტა, რომ მთელი დღე ებარდნა და ებარდნა ბავშვების გულის გასახარად.

მკითხველო, ნუ გაოცდები, თუ ამ სურათზე ხეხილის ახალგამოხსნილ ნაყოფს და დათოვლილ ნაძვებსაც ხედავთ. ასეთია ბუნების კონტრასტი ჩვენში. ზოგჯერ ყვავილობა ასწრებს თოვლის მოსვლას მზიურ საქართველოს ბარში.

ტექსტი **ვ. უურულისა.**
ფოტო **ვლ. გინზბურგისა.**

მოკლედ

□ **ტყიბული.** (საკ. კორ.). უკანასკნელ წლებში მეშახტეთა ქალაქში 15 ჰექტარ ფართობზე 55 ათასი ძირი მარადმწვანე და ფოთლოვანი მცენარე დარგეს.

□ **ღამით** ცხაკაიას საკოლმეურნეო ბაზრის ერთ-ერთ სამრეწველო მაღაზიის ცეცხლი გაეჩინდა. გუშაგებმა კ. პერტაიამ და კ. გოგიჩაიშვილმა დროზე შეამჩნიეს ხანძარი და საჩქაროდ შეატყობინეს სახანძრო რაზმს. ხანძარი ჩაქრეს. გუშაგთა სიფხიზლემ დიდძალი სახელმწიფო ქონება განადგურებას გადაარჩინა.

ა. ჟარჩავა.

ექს-ჩემპიონის თვალსაზრისით

მცირე დროა დარჩა ჰადრაკში მსოფლიოს ჩემპიონ მიხეილ ბოტვინიკსა და ამ ფოდელების პრეტენდენტ ტიგრან პეტროსიანს შორის მატჩის დაწყებამდე. ყველა ქვეყანაში ჰადრაკის მილიონობით მოყვარულს აინტერესებს, რას ფიქრობენ მომავალ შეჯიბრებაზე გამოჩენილი ავტორიტეტები.

პრესის სააგენტო „ახალი ამბების“ კორესპონდენტმა ვიქტორ ფასილიევმა მიმართა მსოფლიოს ექს-ჩემპიონს მიხეილ ტალს (რომელსაც, როგორც ცნობილია, 1960 და 1961 წლებში თვითონ ბოტვინიკთან) და სთხოვა ეპასუხნა რამდენიმე კითხვაზე.

□ □

— თქვენი აზრით, რა დამახასიათებელი თავისებურებანი განასხვავებენ ბოტვინიკის ამ, უკვე მეშვიდე მატჩს წინა ექვსისაგან?

— მატჩი მოეწყობა დიდი ხნის დამტკიცებული და არაერთხელ შემოწმებული წესებით და, ფორმალურად რომ ვთქვათ, წინა ბრძოლებისაგან არაფრით არ იქნება განსხვავებული. მაგრამ არის ერთი დეტალი, რომელიც მატჩის დებულებას ეხება და რომელმაც შეიძლება არსებითი გავლენა მოახდინოს ბრძოლის მსვლელობაზე. მხედველობაში მაქვს პუნქტი, რომელიც გულისხმობს, რომ საყაიმო ანგარიშს შემთხვევაში ჩემპიონი თავის წოდებას ინარჩუნებს. მე მგონია, რომ ეს იქნება პირველი მატჩი, რომელშიც აღნიშნული პუნქტი მსოფლიოს ჩემპიონს აძლევს მარილაც დიდ უპირატესობას, ამასთან, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, არა იმდენად სპორტულს, რამდენადაც ფსიქოლოგიურს.

საქმე ის არის, რომ ბოტვინიკთან მატჩებში პეტროსიანის წინამორბედნი სამივენი მკაფიოდ გამოსახული შეტევითი ტენდენციის, ინიციატივისადმი მოდგმული სწრაფვის მოჭადრაკენი იყვნენ. თვითონ ბოტვინიკიც წარმომადგენელია მეტად აგრესიული, მე ვიტყოდი, ტარანული სტილისა (აქვე ვიკითხოთ, ეს ხომ არ არის იმის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი, რომ ბოტვინიკი შესანიშნავად თამაშობდა სწორედ მატჩ-რევანშებში?).

მსოფლიოს ჩემპიონის ახლანდელი მეტოქე კი სხვა ყაიდის მოჭადრაკეა. პეტროსიანის ყველაზე ძლიერი მხარეა სწორედ იშვიათი უნარი — ჯიუტად, მტკიცედ შეინარჩუნოს ყოველი მოპოვებული გოჯი. რა თქმა უნდა, პეტროსიანმა იცის აქტიური, მწვავე თამაში, შეუძლია ეფექტური კომბინაციაც დაგვანახვოს, მაგრამ ეს თვისებები როდია მისი „სადარბაზო ბარათი“. იგი ჭადრაკში იმ მოჩხუბართა რიცხვს ეკუთვნის, რომლებიც პირველნი როდი დაარტყამენ ხოლმე (თუმცა საპასუხო დარტყმაც სრული ძალით იცის). ხოლო ის სიტუაცია, რომელშიც პრეტენდენტი იმყოფება, ისეთია



ინტერვიუ
მ. ტალთან

რომ გინდა თუ არ გინდა, პირველმა უნდა გამართო ჩხუბი, რადგან მხოლოდ იმის თუ მიაღწევ, რომ ერთი პარტიაც არ წაგო, ეს მატჩის წაგებას ნიშნავს.

სწორედ ამიტომ საყაიმო ანგარიშის წესს მომავალ ორთაბრძოლაში ესოდენ დიდი მნიშვნელობა ენიჭება.

ბრონშტეინიც, სმისლოვიც და მეც ბოტვინიკთან ვთამაშობდით ჩვენი ჩვეულებრივი მანერით, ჩვენ არ გვიხდებოდა ავგზნებულიყავით, აგვეგზნო ჩვენი ტემპერამენტი, ჩვენი სტილი (თუმცა, როგორც გამოირკვა, ამან ძალიან რიდი გვიშველა!). პეტროსიანს კი ალბათ დასჭირდება ითამაშოს რამდენადმე არა თავისი სტილით. ამიტომ გამორიცხული არ არის, რომ ჭადრაკის მხატვარ პეტროსიანის 1963 წლის ნიშუშს ტილოებში უკანასკნელი ათი წლის სურათების რეპროდუქცია როდი იქნება.

თავიდანვე შევნიშნავ — ეს, რა თქმა უნდა ჰიპოთეზაა და მეტი არაფერი. მაგრამ თუ ეს ჰიპოთეზა გამართლდა, თუ პეტროსიანმა მართლაც, ბოტვინიკის სიტყვებით რომ ვთქვათ, სწორედ ასეთი „პროგრამა დაისახა“, ეს გარემოება განსაკუთრებულ ელფერს მისცემს მატჩს.

რა თქმა უნდა, ერთია ასეთი ვარაუდების გამოთქმა და სულ სხვა საქმეა მათი განხორციელება. სტილის შეცვლა ისევე ძნელია, როგორც ხასიათისა, განსაკუთრებით შენს სიცოცხლეში ყველაზე პასუხსაგები შეჯიბრების წინ. ამიტომ საკითხი — გადაწყვეტს თუ არა პეტროსიანი რამდენადმე მნიშვნელოვნად შეცვალოს თავისი ტრადიციული მანერა — რჩება გამოცანად, რომელზეც მხოლოდ მატჩი მოგვცემს პასუხს.

ასეა თუ ისე, მსოფლიოს ჩემპიონო, რა თქმა უნდა, „ანგარიშს უწევს ასეთ შეაძლებლობას. მე ვიცნობ (ვი რომ არა მარტო სხვისი გამოცდილებით) ბოტვინიკის შესანიშნავ უნარს — მოემზადოს ყოველ მოწინააღმდეგესთან, მოვლენების ყოველ განვითარებასთან შეხვედრისათვის და ეჭვი არ მეპარება, რომ პეტროსიანის ასეთი „სიახლის“ შესაძლებლობა მას გათვალისწინებული აქვს.

— თვითეული მატჩი მსოფლიოს პირველობაზე, ჩემპიონისა და პრეტენდენტის თვითეული პარტია ყოველთვის შეჯახებაა ორი სტილისა საჭადრაკო ბრძოლისადმი ორი მეტად თუ ნაკლებად სხვადასხვა მიდგომისა. რით იქნება მატჩი საინტერესო ამ მხრივ?

— ნაწილობრივ მე უკვე გავეცი პასუხი ამ კითხვაზე, მაგრამ მხოლოდ ნაწილობრივ.

ფართოდ გავრცელებული აზრი, რომ ბოტვინიკ-პეტროსიანის მატჩში, წინა ორი შერკინებისაგან განსხვავებთ, ერთმანეთს შეხვდებიან, თუ ერთნაირის არა, მსგავსი სტილის მოჭადრაკენი. ეს სწორია მხოლოდ დაახლოებით. ნამდვილად კი ბოტვინიკისა და პეტროსიანის შემოქმედებითი მანერა უფრო მეტად როდი ჰგავს ერთმანეთს, ვიდრე წერის მანერა ორი ადამიანისა, რომლებსაც ერთმანეთთან იც ანათესავებს, რომ ერთიც და მეორეც ერდება წაშლას და მელნის დაღვენთებას.

ბოტვინიკსა და პეტროსიანს აქვთ, შეიძლება ითქვას, მხოლოდ ერთი, თუმცა ძალიან მნიშვნელოვანი საერთო თვისება — ჭადრაკის კანონების პატივისცემა. სტატიაში პეტროსიანის შესახებ, რომელიც დაწერილია მას შემდეგ, რაც პეტროსიანი სსრ კავშირის ჩემპიონი გახდა, ბოტვინიკმა ნათლად გამოთქვა თავისი დადებითი დამოკიდებულება იმ მოჭადრაკეებისადმი, რომლებიც „შემთხვევითს“ შანსს კი არ გამოიდევნებიან ხოლმე, არამედ ცდილობენ ჩასწვდნენ პოზიციის არსს, თამაშობენ „პოზიციის მიხედვით“ და, თუ პოზიცია მშვიდობიან შედეგს უკარნახებს, უარს როდი ამბობენ ამაზე“. ბოტვინიკიც და პეტროსიანიც თამაშობენ „პოზიციის მიხედვით“, ამიტომ გასაკვირველი არ არის, რომ ორივე პატივს სცემს ერთმანეთის სტილს.

ამასთან ერთად, ამ გამოჩენილ მოჭადრაკეთა თამაშის სტილში ბევრი რამ



პირველი მატჩი ლენინგრადში

ვ. ბარჭაიას ორი გუშრი

ლენინგრადი, 5 მარტი. (ტელეფონით სპეც. კორ.). არცთუ ისე დიდი ხანია, რაც თბილისის დინამოელები ბაკი ზღვის სანაპირო კურორტ ლესელიძეს ეწვივნენ. აქ ისინი განაგრძობენ საიუბილეო ჩემპიონატისათვის მზადებას.

დღეს შედგა პირველი საკონტროლო შეხვედრა ალმა-ატის „კაირატისა“ და თბილისის „დინამოს“ კოლექტივებს შორის. მატჩის სანახავად ლესელიძეში მრავალი დამსვენებელი და ფეხბურთის გულშემატკივარი ჩამოვიდა გაგრიდან, ადლერიდან, სოხუმიდან.

დინამოელთა შემადგენლობა ასეთი იყო: ს. კოტრიკაძე, ბ. სიჭინავა, მ. ხურცილავა, გ. ჩოხელი, ჯ. ზეინკლიშვილი, შ. იამანიძე, ს. მეტრეველი, ვ. ბარჭაია, ზ. კალოევი, გ. პეტრიაშვილი, მ. მესხი.

პირველი ტაიმი აღინიშნა ორმხრივი იერიშებით, მაგრამ ამას შედეგი არ მოჰყოლია, მეტოქეებმა დაკარგეს ხელსაყრელი მომენტები.

მეორე ნახევრის დასაწყისში ხურცილავას, მეტრეველისა და ბარჭაიას კომბინაციას მოჰყვა გოლი, რომლის ავტორი ბარჭაია იყო. თამაშის დამთავრებამდე ხუთი წუთით ადრე მანვე პეტრიაშვილის მოწოდებით ანგარიში კიდევ ერთი ბურთით გაზარდა.

გიმარჯვეს დინამოელებმა 2:0.

ამ გუნდებს დუბლიორთა მატჩშიც თბილისელებმა გაიმარჯვეს — 2:1.

თბილისის „დინამოს“ უფროსმა მწვრთნელმა მ. იაკუშინმა საუბარში განაცხადა: პირველი მატჩით კმაყოფილი ვართ. ჩანს, თბილისში ვარჯიშს, შემდეგ ლესელიძეში წვრთნას უნაყოფოდ არ ჩაუვლია, ფიზიკური მომზადების მხრივ ფეხბურთელები კარგად გამოიყენებენ. ახლა საჭიროა ბრძოლა მოთამაშეთა უკეთ შეწყობისათვის, ტექნიკის სრულყოფისათვის.

მორიგი საკონტროლო შეხვედრა დინამოელებს ექნებათ 11 მარტს მინსკის „დინამოსთან“.

მსოფლიო ჩემპიონატის წინ

7 მარტს შვეიცარიაში დაიწყება მსოფლიო პირველობის გათამაშება შაიბიან ჰოკეიში. უკანასკნელი ამხანაგური შეხვედრა სსრ კავშირის ნაკრებს ჰქონდა შვეიცარის ჩემპიონთან „იურგენდენთან“ და გიმარჯვა ანგარიშით 9:0.

ჩემპიონატის ყველა მონაწილე ამქამად სტოკჰოლმში იმყოფება. პირველობის ცენტრალური შეხვედრები მოეწყობა ცენტრალურ სტადიონზე — „იუბანსესენ-ჰოფზე“. პირველი მატჩი ჩვენს ჰოკეისტებს ექნებათ ფინეთის ნაკრებთან.

სპორტული ქრონიკა

□ ფინეთის ქ. კოუვოლაში მოეწყო საერთაშორისო ასპარეზობა ტრამპლინიდან თხილამურებით ხტომაში. აქ საბჭოთა სპორტსმენები უკეთესად გამოვიდნენ, ვიდრე ლახტში. გამარჯვება ხვდა ფინეთის წარმომადგენელს — პ. რემესს, რომელმაც 223,7 ქულა შეაგროვა. ა. ივანიკოვმა და კ. წაქაძემ (სსრ კავშირი) მესამე და მეხუთე ადგილები დაიკავეს. კ. წაქაძემ 210 ქულა შეაგროვა.

□ ლენინგრადსა და რიგაში შედგება ფრენბურთელთა ზამთრის საკავშირო ტურნირის მეორე ფინალური ეტაპი იმ გუნდებისათვის, რომლებიც პირველი-მეთორმეტე ადგილებისათვის იბრძვიან. ლენინგრადში 23-დან 30 მარტამდე ერთმანეთს შეხვდებიან ვაჟთა გუნდები, რიგაში — ქალთა კოლექტივები. ფინალის პირველ ეტაპზე ვაჟთა გუნდებს შორის საუკეთესო შედეგი მოიპოვა მოსკოვის „ბურევესტნიკის“ გუნდმა, რომელმაც ხუთივე შეხვედრა მოიგო. თბილისის „ბურევესტნიკს“ სამი გამარჯვება აქვს.

ინგლისელი ჭადრაკოსნები

ინგლისელ ჭადრაკოსნებს ეს ზამთარი ინგლისის ჩემპიონ ბ. ფეინბერგის ხელმძღვანელობით ბულგარეთში ატარებენ. ინგლისელ ჭადრაკოსნებს ბულგარეთში ადგილობრივ ჭადრაკოსნებთან ექვსი ოთხკუთა ორმაგი შეხვედრა ჰქონდა. ინგლისელ ჭადრაკოსნებს ბულგარეთში ადგილობრივ ჭადრაკოსნებთან ექვსი ოთხკუთა ორმაგი შეხვედრა ჰქონდა. ინგლისელ ჭადრაკოსნებს ბულგარეთში ადგილობრივ ჭადრაკოსნებთან ექვსი ოთხკუთა ორმაგი შეხვედრა ჰქონდა. ინგლისელ ჭადრაკოსნებს ბულგარეთში ადგილობრივ ჭადრაკოსნებთან ექვსი ოთხკუთა ორმაგი შეხვედრა ჰქონდა.

რესპუბლიკური საჭადრაკო ჩემპიონატი

რვა ტურის შემდეგ

გუშინ მოეწყო რვა ტურის შემდეგ გადადებული პარტიების დამთავრება. ბ. გურგენიძემ დაამარცხა ა. კირვალიძე და ყაიმზე შეუთანხმდა ჰ. არნშტეინს. რ. ჯინჯიხაშვილმა მოუგო ა. ბლაგიძეს, გ. კალატოზიშვილმა — ა. იზვოზჩიკოვსა და ე. მიქაელიანს, მ. შიშოვმა და თ. ლომაია — ი. ჩიქოვანს; ყაიმზე შეთანხმდნენ ჯ. ბერაძე-ე. მიქაელიანი, თ. ლომაია-ა. ბლაგიძე და მ. თხელიძე-ჰ. არნშტეინი. თ. კიკიან-ნ. გაფრინდაშვილის პარტია არ გათამაშებულა.

რვა ტურის შემდეგ 7,5 ქულით პირველ ადგილზეა ბ. გურგენიძე. 6-6 ქულა შეაგროვეს მ. შიშოვმა და გ. კალატოზიშვილმა. ნ. გაფრინდაშვილს 5 ქულა და ერთი გადადებული პარტია აქვს.

დღეს გაიმართება მორიგი, მეცხრე ტური.

იცნობთ „სიმენტალს“?!

პირველი შეხვედრა — 10 მარტს თბილისში

მილანის კალათბურთელთა კლუბი „სიმენტალი“, რომელიც თბილისს „დინამოს“ მომავალი მოწინააღმდეგეა ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშების მეოთხედფინალში, იტალიის ჩემპიონია 1946 წლიდან. იგი საუკუნის ბისაწყისში დაარსდა და წინათაც ბევრი წარმატება ჰქონდა, მაგრამ ომის შემდეგ იტალიის კალათბურთის ნამდვილი ჰეგემონი გახდა. მართლაც გასაკვირველია, რომ 16 წლის მანძილზე გუნდს არავისთვის დაუთმია ჩემპიონის ტიტული. „სიმენტალი“ წარმატებით თამაშობს იტალიის 1962-63 წლების ჩემპიონატში, სადაც 14 უძლიერესი გუნდი მონაწილეობს. მილანელები დღეისათვის ლიდერები არიან და იმედოვნებენ კიდევ ერთი წლით შეინარჩუნონ თავიანთი სატიტო წოდება.

წინათ „სიმენტალის“ დიდ მეტოქედ ითვლებოდა რომის „ლაციო“, მაგრამ წლევანდელ გათამაშებაში ეს გუნდი მარცხს მარცხზე განიცდის. „ლაციოს“ ამასწინანდელი შეხვედრა მილანელებთან „სიმენტალის“ იოლი გამარჯვებით 89:67 დამთავრდა. იტალიის ჩემპიონი ამ მატჩში თამაშობდა ასეთი შემადგენლობით: პიერი, ვიტორი, ვოლპატო, სარდანა, რუმინუჩი, ვიანელო, ვესკოვო, ბინდა, გამბა, ონჯორი. „სიმენტალის“ ყველაზე შედეგიანი მოთამაშე იყო ვიანელო, რომელმაც თავის გუნდს 25 ქულა შესძინა. ვიტორიმ „სიმენტალს“ 18 ქულა მოუტანა, პიერიმ და ბინდამ — 14-14. საყურადღებოა, რომ ამ მატჩის მონაწილე კამბა ორ მეტრზე მეტი სიმაღლისაა. ასეთივე გოლიათური სიმაღლე აქვს „სიმენტალის“ მეორე მოთამაშეს მარჩინელოს, რომელიც ამ შეხვედრაში არ მონაწილეობდა.

წელს „სიმენტალი“ მიწვეული იყო საერთაშორისო ტურნირში, რომელიც პარიზში მოეწყო. აქ თამაშობდნენ ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშების შარშანდელი ფინალისტი მადრიდის „რეალი“ და საფრანგეთის უძლიერესი გუნდები. პირველი ადგილი დაიკავა „რეალმა“.

როგორც იტალიის ჩემპიონი, მილანის „სიმენტალი“ სისტემატურად მონაწილეობს ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშებაში, სადაც კარგ შედეგებს აღწევს. წელს მან უკვე გამოიყენა ამ გათამაშებიდან მაროკოსა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ჩემპიონები. საყურადღებოა, რომ „სიმენტალმა“ ქ. კასაბლანკაში „ასტრონომიული“ ანგარიშით მოუგო „ბკ კასაბლანკას“, ამიტომ მაროკოს ჩემპიონმა იტალიაში გამეორებაზე და განმეორებით მატჩზე უარი თქვა.

როგორც ვხედავთ, „სიმენტალი“ გამოცდილი, ძლიერი გუნდია, ამიტომ მისი ორთაბრძოლა თასის ფლობელ თბილისის „დინამოსთან“ განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს. თუ თბილისელები „სიმენტალს“ გათამაშებიდან გამოიყვანენ, მაშინ ისინი უნდა შეხვდნენ მოსკოვის ცსკა-სა და პოლონეთის ჩემპიონ ქ. კრაკოვის „ვისლას“ შორის გამარჯვებულს. მიმომხილველებს ექვიც არ ეპარებათ, რომ ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასს ყოფილმა მფლობელმა ცსკ-ამ უნდა სძლიოს „ვისლას“.

დანარჩენ ორ მეოთხედფინალურ მატჩში ერთმანეთს შეხვდებიან ესპანეთის ჩემპიონი, მადრიდის „რეალი“ და უნგრეთის ჩემპიონი ბუდაპეშტის არმიელთა კლუბი „ჰონვედი“, იუგოსლავიის ჩემპიონი ქ. ლიუბლიანის „ოლიმპია“ და ჩეხოსლოვაკიის ჩემპიონი ქ. ბრნოს „სპარტაკი“.

„სიმენტალისა“ და თბილისის „დინამოს“ კალათბურთელთა მეოთხედფინალური მატჩები შედგება 10 მარტს თბილისში, ხოლო 14 მარტს — მილანში.

რედაქტორი
დ. მჟედლიშვილი.

რა ვნახოთ, რა მოვისმინოთ

თეატრები

6 მარტი

ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის — დემონი (მე-12 აბონ. მე-8 სპექტაკლი), **რუსთაველის სახელობის** — თანამედროვე ტრაგედია (მე-9 აბონ. მე-3 სპექტაკლი), **მარჯანიშვილის სახელობის** — მე ვხედავ მზეს (მე-13 აბონ. მე-3 სპექტაკლი), **გრიბოედოვის სახელობის** — ხედი ხიდიდან (1-ლი აბონ. მე-7 სპექტაკლი), **სანკულტურის** — გრძნობათა ჭიდილი, **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — ბრაზილიის საუნჯე (აბონ. № 54, 4 ს. 30 წ.), ტარტიუფი (აბონ. № 34, 7 ს.), **კონსერვატორიის დიდი დარბაზი** — საქართველოს სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრი, **ცირკი** — ახალი პროგრამა. დიდი ატრაქციონი გაწვრთნილი შერეული ცხოველების ჯგუფი ვლადიმერ დურაროვის ხელმძღვანელობით.

6 მარტი

18.00 — „დღეს ჩვენს პროგრამაშია“, 18.05 — **მოსწავლეთათვის** — მხატვრული ფილმი „კაპიტან გრანტის შვილები“, 19.30 — გადაცემა — „რუსთავში შენდება კონვერტორები“, 19.40 — კინონარკვევი, 19.50 — გადაცემა ციკლიდან — „დეპუტატობის კანდიდატები, 20.10 — გადაცემა ციკლიდან — „ხალხის საუნჯე“, 20.45 — კინონარკვევი, 21.05 — ახალი ამბები, 21.20 — მხატვრული ფილმი „თორმეტი თანამგზავრი“.

6 მარტი

რუსთაველის სახელობის, ამირანი, ოქტომბერი, ისანი, საქართველო (წითელი და მწვანე დარბაზი), **პლეხანოვის სახელობის** კლუბი — ახალი მექსიკური მხატვრული ფილმების კვირეული, **სპარტაკი, 26 კომისრის სახელობის** (პირველი დარბაზი), **კოლხიდა, ჭავჭავაძის სახელობის** კლუბი, **ყაზბეგი** (პირველი დარბაზი), **კომუნარების ბაღი, ნაკადული** — ბავშვი სახლში, **თბილისი** — ვენის ქალიშვილები, **26 კომისრის სახელობის** (მეორე დარბაზი), **ყაზბეგი** (მეორე დარბაზი), **დიდუბე** — ბარონი მიუნჰაუზენი, **გორკის სახელობის კულტურის სახლი, კიროვის სახელობის პარკი** — მზე და ჩრდილი, **გაზაფხული, კოსმოსი** — კაროლინა რიეკელი, **კომკავშირელი** — სამი მუშკეტერი (I სერია), **ოფიცერთა სახლი** — დუმან მხოლოდ ქალდაკებები, **კოლმეურნე** — მარშრუტი 99, **თანამგზავრი** — გიორგი სააკაძე (I-II სერია).



7 მარტი

პირველი პროგრამით

06.40 — ქართული კამერული ნაწარმოებები, 07.30 — რადიოგაზეთი „საქართველოს პიონერი“, 08.30 — პოპური „ბუდაპეშტის ექო“, 09.10 — მედუდუკეთა ანსამბლის კონცერტი, 11.15 — მოლდავური მუსიკის კონცერტი, 12.00 — აფხაზეთის რადიოს გადაცემა, 12.15 — ა. მაჭავარიანი. ორატორია „ჩემი სამშობლოს დღე“, 13.40 — მსუბუქი მუსიკა, 17.15 — ბალასანიანი. სონატა ფორტეპიანოსათვის, 17.30 — გადაცემა მოსწავლეთათვის, 18.10 — მუსიკალური რადიოვიქტორინა, 18.45 — ს. ცინცაძე. პიესები ჩელოსათვის, 19.30 — საუბარი — „საბჭოთა ქალები კომუნიზმის აქტიური მშენებლები არიან“, 19.45 — პოლ დიუკა. სკერცო „ჯადოქრის მოწაფე“, 20.15 — „ძილისპირული“, 20.30 — მ. ბალანჩივაძე. ოპერა „თამარ ცბიერი“, 22.05 — „მოქანდაკე მერაბიშვილთან“, 23.30 — გასართობი მუსიკა.

ქომუნისტი Комунисти ИНДЕКС 66443

თბილისი, ლენინის 14. ტელეფონები: რედაქტორის მოადგილეების — 9-93-03, 3-08-67, პ/მგ მდივნის — 9-72-80, სამდივნოსი — 3-46-10 განყოფილებისა: პარტიული, მრეწველობის, — 9-87-61, მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდის — 3-22-89, სოფ ლის მეურნეობის — 3-32-46, საბჭოთა მშენებლობის, მეცნიერების, უმაღლესი სასწ. და სკოლების — 3-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების, ინფორმაციის — 3-16-90, წერი ლების — 9-73-24, საილუსტრაციო — 3-20-43, განცხადებების — 9-94-42.

ჩვენი მისამართი და ტელეფონები

ეე 00972

ხაქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. № 14.